საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ოთხშაბათი, 25 დეკემბერი. 2019 წ. №256 (8922) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტრუნის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ნოემრის მთავარი თემა

ფართოდ გააცილეთ თვალები „ოცნების“ მხარდამჭერებს!

NDI-ის სათავე ოფისისგან განსხვავებით, რომელიც „დუმილის უფლებას იყენებს“, ფაქტზე დაჭერილმა IRI-ის სათავო ოფისის ხელმძღვანელმა დენიელ თვინინგმა, ნაცვლად იმისა, რომ კონკრეტული კითხვებისთვის ეპასუხა და უხერხულობაში ჩავარდნილს (რბილად ვამბობ) განმარტებები გაეკეთებინა და როგორც მინიმუმ, ბოდიში მოეხადა, „გამოღმით შეგრჩება“ დაისახა მიზნად და ამისთვის უკადრებელიც იკადრა: ჩვენი მუშაობით მხოლოდ რუსეთის და საქართველოს ხელისუფლებები გამოთქვამენ უკმაყოფილებასო.

ახლა ჩვენიც მოისმინეთ, ბატონო თვინინგ — „რუსეთი“ და „რუსული“ სწორედ ისაა, თქვენი პატივცემული მოადგილე უკანონობას რომ სჩადის, აგერ უკვე თხუთმეტი წელია და მარჯვენა ჯიბიდან ამოღებულ მილიონებს მარცხენა ჯიბეში რომ იტენის და დიდი ალბათობაა იმისა, რომ ამ საქმეში მარტო არ უნდა იყოს(!).

სწორედ თქვენი და ზოგიერთი თქვენი კოლეგის „დამსახურებაა“, ქართველი საზოგადოების გარკვეულ ნაწილს, „მეგობრობის“ თქვენეული გაგება თქვენი ქვეყნისადმი ნიჰილისტურად რომ განაწყობს, რადგან მარტივ კითხვას — „თუ ჩვენს შეხედულებებსა და დამოკიდებულებებს, თუ ჩვენს არჩევანს არაფრად აგდებენ, მაშინ რა განსხვავებაა კაპიტოლიუმსა და კრემლს შორის, ცეკას მეორე მდივანსა და საქართველოში აშშ-ის წარმომადგენლობებს შორის?“ — დამაჯერებელი პასუხი არ მოეძებნება. მთავარი ხომ დახმარება არაა, მთავარი თავისუფლებაა — „თავის“... „უფლება“!

* * *

ზემოთ გაგაცანით მცირე ჩამონათვალი იმ ინსტიტუციებისა და კონკრეტული პირებისა, ვინც პრონაცურ-პროსააკაშვილურ პროცესში „თხემით — ტერფამდე“ იყო ჩართული. საინტერესოა, რომ ამ ადამიანების მნიშვნელოვანი ნაწილი, ოფიციალური კავშირების დიდი ხნის წინათ გაწყვეტის მიუხედავად, საქართველოს თემატიკას თავს ვერ ანებებს, ან... არ ანებებინებენ(!). **განსაკუთრებით ეს მაშინ ჩანს ხოლმე, როცა ნაცმავნებლებს ძალიან უჭირთ.**

ბიძინას — ბიძინასკენ!

NDI და IRI საქართველოს წინააღმდეგ

მაგალითად, ნოემბერში განვითარებული ბოლო მოვლენების დროს, „აუ, რამდენი ვართ“ აქციებისთვის „ცეცხლის შენთების“ მიზნით, **ავანსცენაზე, იმავე IRI-ის „სოცმკვლევარებთან“ ერთად, კიდევ ერთხელ უხმეს (ასეთი რამ ადრეც ბევრჯერ მომხდარა) ყოფილ ელჩებს — უილიამ კორტნისა და კენეტ იალოვიცს.**

> უილიამ კორტნი ის ელჩია, რომლის დიპლომატობის პერიოდშიც გადაწყდა რუსეთში დიდი ხნის წინათ „სტავკაგაკეთებულ“ სააკაშვილზე არჩევანის შეჩერება. **მან პირველმა დაიწყო ძართულ გავლენიან წრეებში იმის „დატესტვა“, საზოგადოებისთვის ჟვანია უფრო მისაღები იქნებოდა, თუ სააკაშვილი.** „აზრის შესწავლა“ იმდენად ფართო წრეს მოიცავდა, რომ ინფორმაციამ მოკლე დროში ქვემოთაც ჩამოაღწია.
>
> **კენეტ იალოვიცი 1999 წლის საპარლამენტო არჩევნების, მსოფლიო მასშტაბით სარეკორდო გაყალბების, ერთ-ერთი თანაავტორი გახლავთ. სწორედ ამ არჩევნებით დასრულდა „ახალგაზრდა რეფორმატორებისთვის“ პოლიტიკური ველის მოსუფთავების რამდენიმეეტაპიანი სპეცოპერაცია.** დღესაც თვალწინ მიდგას, ბატონი ელჩყოფილი მხარდამხარ როგორ დაჰყვებოდა(?) პრეზიდენტ შევარდნაძეს საარჩევნო ლონისძიებებზე და ღიად გამოხატავდა(?) „თავისი და თავისი ქვეყნის“ მხარდაჭერას „მოძალაძეთა კავშირის“ მიმართ. მალევე გახდა ცნობილი კულუარული ინფორმაცია, რომ საქართველოს ხელისუფლება რა შედეგსაც **დაწერდა(?)**, ამერიკის დიპლომატიური წარმომადგენლობაც იმ „შედეგს“ დაუჭერდა მხარს (აღიარებდა). ჩემო მკითხველო, ეს ის არჩევნებია, რომელიც პირდაპირ ოქმებში გაყალბდა და **„მოძკავშირის“ მიერ „მიღებული“ 980 000 ხმიდან არანაკლებ 2/3-ისა მიწერილი იყო.**

...ჰოდა, იმას ვამბობდი, „აუ, რამდენი ვართ“ აქციებისთვის „ცეცხლის შენთების“ მიზნით, ჯერ იყო და მწარედ გაწბილებულმა IRI-მა სახელდახელოდ გამოაცხო „ახალი კვლევები“ **(მათი „ობიექტურობის“ საილუსტრაციოდ ისიც კმარა, რომ „პოლიტიკურ ფიგურებში“ პირველ ადგილზე „გავიდა“ ხალხში „ნოტარიუსად“ და „ჩანგალად“ წოდებული ბაქრაძე, ხოლო მესამეზე — „პუსტა-პუსტა“ და „მუშტი-სილა“ უსუფაშვილი),** ხოლო შემდეგ ელჩყოფილებმა „დაგვმოძღვრეს“ შეჭმუხვნილი წარბებითა და მკაცრი ტონით.

იხ. 3 გვ.

რომის პაპი ფრანცისკე: ჩემი სანუკვარი სურვილია, კვლავაც პირადად შეგხვდეთ მომავალ წელს!

რომის პაპი ფრანცისკე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს **ილია მეორეს** წერილით მიმართავს. რომის პაპი მომავალ წელს ილია მეორეს ვატიკანში, საქართველოს პატრიარქის ვიზიტის 40 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებზე იწვევს. რომის პაპის წერილის თარგმანს საქართველოს საპატრიარქო ავრცელებს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:



„რა კარგია და რა საამურია, ერთად რომ ცხოვრობენ ძმები! სამი წლის წინათ წარმოვთქვი ეს სიტყვები სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში, თქვენ გვერდით ყოფნისას. ვიგონებ რა იმ დაუვიწყარ სტუმრობას საქართველოს უმშვენიერეს მიწაზე, განსაკუთრებული სიახლოვითა და გრძნობით მახსენდება თქვენი უწმინდესობა და უნეტარესობა. მადლობას ვუძღვნი მამაზეციერს, რომ შესაძლებლობა მომცა, გულში ჩამეკრა ჩემი ძმა და მოწმე, რომელიც უფალმა აღავსო ლოცვა-კურთხევით, ძვირფას ქართველ ხალხს რომ მოუვლინა.

ძვირფასო ძმაო, არ მავიწყდება ის სიტყვები, თბილისში რომ მითხარით, როცა ქართველებისთვის დამახასიათებელი კეთილშობილი და გულწრფელი სტუმართმოყვარეობით მიმიღეთ: „პეტრე და ანდრია ძმები იყვნენ. ამიტომ, ჩვენც მუდამ განსაკუთრებულად გულითადი ურთიერთობა გვქონდა და უნდა გვქონდეს“. სწორედ ასეთივე სულიერი და ძმური სიყვარულით გწერთ, რათა წრფელი გულით გაგიმჟღავნოთ ჩემი სანუკვარი სურვილი — კვლავაც პირადად შეგხვდეთ მომავალ წელს.

მართლაცდა, 2020 წელს 40 წელი უსრულდება თქვენს ისტორიულ ვიზიტს ვატიკანში. ამ მოვლენის აღსანიშნავად სათანადო ღონისძიებებია დაგეგმილი, მათ შორის, მაღალი დონის მუსიკალური პროექტები, რომელშიც გვსურს, მონაწილეობა მიიღოს საქართველოს საპატრიარქოს მგალობელთა გუნდმა და „სიქსტეს“ საპაპო სამუსიკო კაპელამ. შესანიშნავი იქნებოდა, თუ ამ ღონისძიებებს დაესწრებოდა თქვენი უწმინდესობა, რომლის სულისშემძვრელი საეკლესიო მუსიკალური ქმნილებებიც ღირსია აღიარებისა და დაფასებისა.

ძვირფასო ძმაო, ჩვენი შეხვედრა და ძმური ამბორი უამრავ ადამიანს შთაგონებით აღავსებდა და დააინტერესებდა იმ სულიერებით, საქართველო რომ ატარებს, იმ ხელოვნებით, კულტურითა და ცივილიზაციით, საქართველომ რომ შექმნა რწმენით აღბეჭდილი თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, რწმენით, მის ხალხში რომ ფესვგადგმულა და, როგორც თავად დავრწმუნდი, უამრავი განსაცდელის დროს ქრისტიანული გმირობით დამოწმებულა. ამიტომაც, ჭეშმარიტად ღვთის წყალობა იქნებოდა, ჩვენს შორის არსებული უშუალო ადამიანური ურთიერთობების მეშვეობით, გაგვეზიარებინა და გაგვევრცელებინა ის ქრისტიანული სიყვარული, უფალში რომ გვაერთიანებს და წარმოგვეჩინა სილამაზე იმ ფასდაუდებელი საუნჯისა, თქვენი ქვეყანა რომ ქმნის, განსაკუთრებით, თქვენი პიროვნების სახით.

თქვენო უწმინდესობავ და უნეტარესობავ, მსურს, კვლავაც დაგარწმუნოთ, რომ გამუდმებით ვილოცებ თქვენთვის, რათა უფალმა, მიუხედავად ასაკობრივი სირთულეებისა, მოგმადლოთ ჯანმრთელობა და აღგავსოთ შინაგანი ძალით, სულიერი ნუგეშითა და სიხარულით. ამ გრძნობებით განმსჭვალული გთხოვთ, კვლავაც მიმიჩინოთ ადგილი თქვენს გულში და მომიხსენიოთ თქვენს ლოცვებში“...

აშშ-ის თავდაცვის საბიუჯეტო კანონში საქართველოსთვის განკუთვნილი თანხა 132 025 000 აშშ დოლარს შეადგენს

აშშ-ის 2020 წლის თავდაცვის საბიუჯეტო კანონის სრული ტექსტი, რომელშიც საქართველოს მხარდაჭერაზეც არის საუბარი, გასაჯაროვდა. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 2020 წლის აქტში საქართველოსთვის განკუთვნილი თანხა მნიშვნელოვნად გაზრდილია და 132 025 000 აშშ დოლარს შეადგენს, რაც საქართველოსა და აშშ-ის ურთიერთობების მანძილზე ყველაზე მაღალ ნიშნულს წარმოადგენს.

საქართველოს საგარეო უწყებაში აღნიშნავენ, რომ აშშ-ის საბიუჯეტო კანონი კვლავ შეიცავს ჩანაწერს საქართველოს რეგიონების არაღიარების თვალსაზრისით.

„ამერიკის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ხელი მოაწერა კონგრესის მიერ დამტკიცებულ ასიგნებათა კონსოლიდირებულ აქტს 2020 ფისკალური წლისთვის. აღნიშნული კანონი სხვა საკითხებთან ერთად განსაზღვრავს აშშ-ის პრიორიტეტებს პარტნიორი ქვეყნების მხარდაჭერისა და დახმარების კუთხით. ნიშნადობლივია, რომ 2020 ფისკალური წლის კანონი მნიშვნელოვან ჩანაწერს შეიცავს საქართველოს რეგიონების დეოკუპაციისა და არაღიარების თვალსაზრისით.

აღსანიშნავია, რომ კანონი ასევე ითვალისწინებს საქართველოსთვის განკუთვნილი საბიუჯეტო ასიგნებების უპრეცედენტო ზრდას.

აქტის თანახმად, ხსენებული კანონით გამოყოფილი დაფინანსებით ვერ ისარგებლებს ვერც ერთი ქვეყნის ცენტრალური მთავრობა, თუ აშშ-ის სახელმწიფო მდივანი დაადგენს და ასიგნებების კომიტეტს წარუდგენს ანგარიშს იმის თაობაზე, რომ აღნიშნულმა ქვეყანამ აღიარა რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, ან მათთან დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობები. აგრეთვე ხსენებული კანონით გამოყოფილი რაიმე დაფინანსება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ოკუპაციის მხარდასაჭერად.

ასიგნებათა კონსოლიდირებული აქტი მოუწოდებს აშშ-ის ხაზინის დეპარტამენტს შესაბამისი ინსტრუქცია მისცეს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების აშშ-ის აღმასრულებელ დირექტორებს, რათა მათ მხარი არ დაუჭირონ ნებისმიერი იმ პროგრამის დაფინანსებას (სესხის, კრედიტისა და გარანტიის ჩათვლით), რომელიც არღვევს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას“, — აცხადებენ საქართველოს საგარეო უწყებაში. აქტი ძალაში შევიდა აშშ-ის პრეზიდენტის ხელმოწერისთანავე.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი საქართველოში განვითარებულ მოვლენებს ეხმიანება

აშშ მხარს უჭერს უსაფრთხო, აყვავებულ და დემოკრატიულ საქართველოს. ამის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაშია ნათქვამი, რომელიც საქართველოს დემოკრატიულ განვითარებას უკავშირდება.

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, ვაშინგტონი მიესალმება სასამართლო რეფორმის მეოთხე ტალღით მიღწეულ პროგრესს და მხარს უჭერს საარჩევნო რეფორმაზე მმართველ პარტიასა და ოპოზიციას შორის დიალოგს.

„ჩვენ მოვუწოდებთ საქართველოს მთავრობას, გააძლიეროს თავისი ვალდებულება დემოკრატიის პრინციპების, ინდივიდუალური თავისუფლებისა და კანონის უზენაესობის მიმართ, რათა უზრუნველყოს, რომ მისი სასამართლო და საპროკურორო სისტემა თავისუფალი იყოს პოლიტიკური მიკერძოებებისგან. შეერთებული შტატები გააგრძელებს მუშაობას თავის სტრატეგიულ პარტნიორთან, საქართველოსთან, რათა უზრუნველყოფილი იყოს კანონის უზენაესობა და ანგარიშვალდებული ინსტიტუტები“, — ნათქვამია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში. პარლამენტმა სასამართლო რეფორმის მეოთხე ტალღის ფარგლებში საკანონმდებლო პაკეტი 13 დეკემბერს დაამტკიცა.

<u>გია ვოლსკი:</u> ვერანაირი თარგმანი ვერ დაამახინჯებს იმას, რაც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში რეალურად წერია

პირველი ვიცე-სპიკერის, გია ვოლსკის განცხადებით, ვერანაირი თარგმანი ვერ დაამახინჯებს იმას, რაც ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში რეალურად წერია.

„რამდენიმე დღის წინ, საკმაოდ ხაზგასმით იგივე იყო ნათქვამი ამერიკის ელჩის მოვალეობის შემსრულებლის მიერ. ამერიკის შეერთებული შტატები, ჩვენი მთავარი პარტნიორი მიესალმება მეოთხე ტალღას, რომელიც სასამართლო რეფორმაში ხორციელდება. ამასთანავე, მოუწოდებს, რომ პოლიტიკურმა მხარეებმა მოლაპარაკების მაგიდასთან და არა ქუჩაში გადაწყვიტონ დაპირისპირებულ პოზიციებზე საბოლოო შეთანხმების საკითხი. ეს არის მთავარი. ამას როგორი ინტერპრეტაცია უკეთდება, ესაა მცდელობა იმისა, რომ რაღაცნაირად გამოიყენონ და კვლავ სპეკულაცია მოახდინონ, თუნდაც ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციის“, — განაცხადა გია ვოლსკიმ.

კითხვაზე, „ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი პროკურატურისა და სასამართლოს პოლიტიკური გავლენებისგან გათავისუფლებაზე საუბრობს“, ვოლსკიმ უპასუხა, რომ პროკურატურაც, სასამართლოც და ნებისმიერი სახელმწიფო უწყების საქმიანობა უნდა დაიხვეწოს და გაძლიერდეს.

„განსაკუთრებით საინტერესოა პროკურატურის საქმიანობა, პროკურატურას საზოგადოებაში მეტი ნდობა უნდა ჰქონდეს, ვიდრე აქვს, მაგრამ ახლა უკვე გაცილებით მეტი აქვს, ვიდრე 2012-მდე გვქონდა. ეს არის ფაქტი. ამ ფაქტის გადაფარვა არის მთავარი ამოცანა, რომელსაც დღეს ემსახურება პროპაგანდა, მათ შორის გარკვეული მედიასაშუალების გამოყენებით. ეს არის რეალობა. კონკრეტული საქმეები უნდა დაასახელოს ადამიანმა, სადაც ან პროკურატურას აქვს არასწორი გადაწყვეტილება გამოტანილი ან სასამართლოს. გიგი უგულავასთვის პასპორტის ჩამორთმევა რითია განპირობებული, იმაზე კი არ საუბრობენ, საუბრობენ, რომ რადგან გიგი უგულავა პოლიტიკური ლიდერია ან ჩემულობს, რომ ასეთი იყოს, აქედან გამომდინარე თურმე არც პასპორტი უნდა ჩამოართვა და ადამიანები, რომლებიც პარლამენტში შემოვარდნას ლამობდნენ რევოლუციური აჟიოტაჟის ფონზე, თურმე არც ისინი არ არიან დამნაშავეები, ვინაიდან გარკვეული პოლიტიკური პარტიების წევრები ან ლიდერები არიან. ეს ასე არ არის. მთავარია თემა, რა თემაზე ედავება პროკურატურა ან სასამართლო კონკრეტულ პირებს. ზოგი საზოგადოებრივ ორგანიზაციას ამოეფარა და ზოგი ტელევიზიას“ , — განაცხადა გია ვოლსკიმ. ამასთან, ვოლსკის განმარტებით, ქვეყნის მთავარი პარტნიორის წინადადებები, მოსაზრებები, თუნდაც შენიშვნები მომავალ საქმიანობაში სახელმძღვანელო უნდა გახდეს და ამაში ცუდი არაფერია.

<u>კახა კალაძე:</u> აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადება მეტყველებს, რომ საქართველოს აქვს ძალიან დიდი მხარდაჭერა სტრატეგიული პარტნიორის მხრიდან

„მთავარი ამ განცხადებაში იყო ის, რომ დადებითად აფასებენ რეფორმას, რომელიც იყო განხორციელებული სასამართლოს მიმართულებით. ძალიან დადებითად აფასებენ ჩვენ მიერ გადადგმულ ნაბიჯებს დემოკრატიის თვალსაზრისით, რაც ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია. ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოს აქვს ძალიან დიდი მხარდაჭერა სტრატეგიული პარტნიორის მხრიდან. ისინი რეალურად ხედავენ და აფასებენ ქვეყანაში მიმდინარე დადებით მოვლენებს“. ამასთან, კახა კალაძის თქმით, არის გამოწვევებიც.

„ყველაფერი საუკეთესო არც ერთ განვითარებულ და დემოკრატიულ ქვეყნებში არ არის. შესაბამისად, ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ამ გამოწვევებს ღირსეულად ვუპასუხოთ.

ჩემთვის გაზეთებში შეკვეთილი სტატიები და მათ მიერ გაკეთებული განცხადებები საინტერესო არ არის. ჩემთვის მნიშვნელოვანია ის ოფიციალური განცხადება, რომელიც გუშინ გაკეთდა, სადაც დადებითად არის შეფასებული ის რეფორმები, რომლებიც ბოლო წლების და თვეების განმავლობაში გატარდა.

ის მინიშნებები, რაც იყო პროკურატურასთან დაკავშირებით, კიდევ ერთხელ ვიმეორებ ყველაფერი იქნება გამოსწორებული, ყველაფერი იქნება მოწესრიგებული. ასევე, კიდევ ერთხელ ხაზი მინდა გავუსვა იმ დადებით განცხადებებს, რომელიც იყო გაკეთებული თუნდაც სასამართლო რეფორმის მიმართულებით და იმ დემოკრატიული პროცესების გაჯანსაღების თვალსაზრისით, რაც ქვეყანაში ბოლო წლების განმავლობაში განსაკუთრებით 2012 წლის მერე ხდება“, — განაცხადა კახა კალაძემ.

ყველამ თავის ტროლს მიხედოს!

მმართველი გუნდის წარმომადგენლის ირაკლი კობახიძის განცხადებით, საქართველოში ტროლების კუთხით ძალიან მძიმე ვითარებაა.

როგორც კობახიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, გასული თვეების განმავლობაში, დეზინფორმაციის აღკვეთასა და ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯების გადადგმაზე საუბრისას, კონკრეტულმა სუბიექტებმა, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციებმა, სერიოზული კრიტიკა გამოთქვეს. ირაკლი კობახიძე ორმაგ სტანდარტზე საუბრობს.

„პირველ რიგში, ყველას მოვუწოდებ, რომ თავიანთ ტროლებს მიხედონ. საქართველოში, სამწუხაროდ, ძალიან მძიმე ვითარება გვაქვს ტროლების კუთხით, ამაზე ვსაუბრობდით გასული თვეების განმავლობაში. გახსოვთ იგივე, როცა საუბარი იყო საარჩევნო რეფორმის განხორციელებაზე, იქაც ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რაც დაისვა, იყო სწორედ დეზინფორმაციის აღკვეთა და აქეთკენ მიმართული ნაბიჯების გადადგმა.

მაშინ კონკრეტულმა სუბიექტებმა, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციებმა, ძალიან სერიოზული კრიტიკა გამოთქვეს ამასთან დაკავშირებით, პირდაპირ უპირისპირდებოდნენ რაიმე ტიპის შეზღუდვის დაწესებას „ფეისბუქთან“ დაკავშირებით, თუ ასეთი ტიპის დეზინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებით. დღეს იგივე ორგანიზაციები აცხადებენ, რომ ამას სჭირდება ზღვრის დაწესება. ხედავთ, რომ აქ არის ორმაგი სტანდარტი“, — განაცხადა ირაკლი კობახიძემ. კობახიძის თქმით, პარლამენტში ინიცირებულია კანონპროექტთა პაკეტი, რომელიც სწორედ დეზინფორმაციის თავიდან აცილებას ეხება.

ფართოდ გაახილეთ თვალები „ოცნების“ მხარდამჭერებო!

(პირველი გვერდიდან)

გულახდილად ვიტყვი – დიდი იმედი მაქვს, პრეზიდენტ დონალდ ტრამპისა და მისი ადმინისტრაციის მიერ სრულიად სხვა რაკურსით, სრული ობიექტურობით შეფასდება დამოკიდებულებები ერთგული მოკავშირის, საქართველოს სახელმწიფოს მიმართ, რასაც აუცილებლად მოჰყვება მიდგომების გადასინჯვა.

NDI-ის, IRI-ისა და საქართველოს მიმართულებაზე მომუშავე მთელი ამ დაჯგუფების დამაზიანებელ საქმიანობას მრავალი წახნაგი აქვს. ისინი იმდენად არიან ჩაჭიდებული თავიანთ გავლენებს ჩვენს ქვეყანაში, რომ, როდესაც ბატონმა დონალდ ტრამპმა, პრეზიდენტად არჩევისთანავე, მსოფლიოს თითქმის ყველა (ამერიკისთვის მნიშვნელოვანი) ქვეყნიდან გაიწვია ელჩები, ბატონი იან კელი, რომელიც ჰილარი კლინტონის ფოტოთი მკერდდამშვენებული ღიად გამოხატავდა თავის უკიდურესად ნეგატიურ დამოკიდებულებას ბატონი დონალდ ტრამპის პერსონის მიმართ, ვადის ამოწურვამდე დარჩა თანამდებობაზე.

(წარმოდგენილი ანალიზის ობიექტურობის ნიშნად, მინდა, კიდევ ერთხელ დავადასტურო ჩემი უაღრესად დიდი პატივისცემა საქართველოში აშშ-ის ყოფილი ელჩის, ბატონი რიჩარდ ნოლანდის მიმართ.)

2012 წლამდე თუ იმას ვფიქრობდით, რომ ზემოხსენებული დაჯგუფების დამოკიდებულებას საქართველოს წინა ხელისუფლებების მიმართ განაპირობებდა სტაბილურობის ინტერესი(?), ქვეყანაში მომხდარმა ძირეულმა ცვლილებებმა მთლიანად შეცვალა ჩვენი შეფასებები – **„პარტნიორებმა“ შეინარჩუნეს გასაოცარი „ერთგულება“ და „სიმპათიები“ ოპოზიციაში გადაბარგებული, მრავალ სისტემურ დანაშაულში მხილებული ნაცპარტიის მიმართ და დემონსტრაციულად ზურგშექცევით დგანან „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მიმართ.**

ამ დამოკიდებულების ნათელი დადასტურებაა თუნდაც ბატონი იან კელის საქმიანობის ერთი ეპიზოდი, როდესაც თავგამოდებით ცდილობდა და მიაღწია კიდეც **„ნაცმენტალობით“ გამორჩეული ნინო ლომჯარიას** გაყვანას ომბუდსმენის მეტად მნიშვნელოვან და საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. ხილული ფაქტია, რომ ელჩის ეს „ღვაწლი“, უწყვეტად და თანმიმდევრულად „ფასდება“ კონკრეტული შედეგებით. ბოლო მაგალითი გავიხსენოთ: ახლახან, სულ რაღაც თვენახევრის წინ, **ქალბატონმა სახალხო დამცველმა(!) დამხობაზე ორიენტირებული ე.წ. ოპოზიციის კანონსაწინააღმდეგო ქმედებები გაამართლა და ამით ღიად უბიძგა ახალი დესტრუქციული ნაბიჯებისკენ, რითაც, ფაქტობრივად, დანაშაულის თანამონაწილე გახდა.**

* * *

„ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდში რამდენიმე წერილი მივუძღვენი გიორგი მარგველაშვილის „პოლიტიკურ ფიგურას“. ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილებებს ამ პერსონის – ჯერ განათლების მინისტრად, ხოლო შემდეგ პრეზიდენტად **დანიშვნის** გამო, მძიმე შეცდომებად ვაფასებდი (ასეთი იყო საერთო სახალხო განწყობაც, განსაკუთრებით მეორე შემთხვევაში). „თანამდებობებთან შეუფერებლობის“ მიზეზად მრავალ პიროვნულ ნაკლსა და სისუსტესთან ერთად, იმ გარემოებასაც ვასახელებდი, რომ **იგი დიდი ხნის განმავლობაში ნაც-სააკაშვილების ღია მხარდამჭერისა და ლობისტის და „ქართული ოცნებისადმი“ მტრულად განწყობილი NDI-ის განსაკუთრებული პასუხისმგებლობით აღჭურვილი (როგორც თარჯიმანი, ფლობდა ყველა სახის ინფორმაციას) თანამშრომელი იყო.**

ჩემი პირვანდელი შეფასების გადასინჯვა მომიწია მას შემდეგ, რაც ბატონმა ბიძინამ გასულ წელს სატელევიზიო ინტერვიუში ბრძანა რომ „მთელი ხუთი წელი დასჭირდა ამერიკელი მეგობრების დარწმუნებას იმაში, რომ ჩვენი საგარეო ორიენტაცია მყარი და შეუქცევადიაო“. ამ ახალი გადასახედიდან დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ **გიორგი მარგველაშვილის, თამარ ჩუგოშვილის, ნინო ლომჯარიას და სხვათა პოლიტიკურ პროცესში ზემაღალი პასუხისმგებლობებით ჩართვა იმ ერთგვარი იძულებიდან გამომდინარე ხდებოდა, რომ საქართველოზე მომუშავე ინსტიტუციებთან თანამშრომლობაში ნდობა გაძლიერებულიყო და ორმხრივ ინტერესში გადაზრდილიყო.**

* * *

„ნაც-სააკაშვილების მეგობართა ჯგუფის“ მრავალწახნაგოვანი მუშაობის მნიშვნელოვან და მეტად საყურადღებო მაგალითად მიმაჩნია ანაკლიის პორტის ირგვლივ განვითარებული მოვლენები. ამ თემაზე იმ კუთხით, რაც მინდა შემოგთავაზოთ, ჯერ არავის უსაუბრია, ამიტომ ცოტა შორიდან მოვუვლი:

2017 წლის გაზაფხულზე საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, რომ ხელისუფლების შიგნით მიმდინარეობდა პროცესი, რომელიც ერთგვარი შეთქმულების ხასიათს ატარებდა. **პრემიერი გიორგი კვირიკაშვილი შეეცადა, ესარგებლა ბიძინა ივანიშვილის პასიური როლით და თავის თანამზრახველებთან ერთად ხელში სრულად აეღო მართვის სადავეები.** ამ საქმეში რამდენიმე მინისტრთან, რამდენიმე პარლამენტართან და ზოგიერთ სხვა მნიშვნელოვან ფიგურასთან ერთად, პრემიერს პოზიციებს უმაგრებდა მამუკა ხაზარაძეც.

„ზოგიერთი სხვა მნიშვნელოვანი ფიგურიდან“ ერთ-ერთი ყოფილი პრეზიდენტი გახლდათ. გამოჟონილი ინფორმაციით (თბილისი პატარა ქალაქია), **კვირიკაშვილის გუნდის კანდიდატი 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე, ბიძინა ივანიშვილის „უძღები შვილი“ გიორგი მარგველაშვილი უნდა ყოფილიყო.**

ნიშანდობლივია, რომ **პირველი შეტევები სასამართლო სისტემის, მაშინდელი პარლამენტის თავმჯდომარის, თბილისის მერისა და მერიის სამსახურების მისამართით სწორედ აღნიშნული დაჯგუფების წარმომადგენლებისგან წამოვიდა...**

ისევ ანაკლიის პორტს დავუბრუნდეთ – ძალიან დახვეწილ და ყოველმხრივ დაბალანსებულ საქართველოს თვისობრივად განახლებულ კონსტიტუციას ერთი ნაკლი აქვს: მასში სრულიად უადგილოდ არის „ჩაკვეხებული“ ჩანაწერი ანაკლიის პორტის შესახებ. ცნობილია, რომ **ქვეყნის მთავარ კანონში კონსტიტუციის სტანდარტებთან ეს სრულიად შეუსაბამო მუხლი მთავრობის და პირადად პრემიერ კვირიკაშვილის კატეგორიული მოთხოვნის საფუძველზე აისახა.**

ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნებისა და კვირიკაშვილის გუნდისთვის სათანადო ადგილის მიჩენის შემდეგ, ანაკლიის პორტთან დაკავშირებულმა მოვლენათა განვითარებამ გააჩინა ეჭვები, რომ ეს უდიდესი მასშტაბის პროექტი მიზნად ისახავდა სახელმწიფო რესურსების არაადეკვატურ გამოყენებას გარკვეული, პოლიტიკური და კერძო ინტერესებით დაკავშირებული ჯგუფების სასარგებლოდ. **ის ფაქტი, რომ „ანაკლიის კონსორციუმი“ თავს ვერ ართმევს შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებებს, იმის დასტურია, რომ გათვლა „სხვა რაღაცაზე“ კეთდებოდა.**

ჩემო მკითხველო, იკითხავ, ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ წერილის თემასთან რა კავშირშიაო? **პირველი კავშირი ისაა,** რომ პროექტის მესვეურებმა ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა ხელისუფლებას დააბრალეს, ყველაზე ბინძური, ნაცმოძრაობისეული მეთოდით: „ქართული ოცნება“ რუსეთის დაკვეთას ასრულებს ამერიკის ინტერესის საწინააღმდეგოდო; **მეორე კავშირი კი ის გახლავთ,** რომ აგვისტოს თვეში, ბოლო იმედის სახით, „კულისებიდან“ გამოიყვანეს და „ანაკლიის კონსორციუმის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრად „აირჩიეს“, ქართველებისთვის კარგად ცნობილი პერსონა **თედ ჯონასი.** ეს ის თედ ჯონასია, რომელიც დენიელ კუნინის შემდგომ პერიოდში ხელმძღვანელობდა NDI-ის საქართველოს ოფისს და თავისი დიდი წვლილი მიუძღვის იმ პოლიტიკის გატარებაში, რამაც ქვეყანას სააკაშვილის სამარცხვინო რეჟიმი მოახვია თავს თავისი უმძიმესი შედეგებით.

NDI-ის ბუდიდან აფრენილ ჯონასს და მარგველაშვილს, ახლახან „ლელოს“ მიერთებულ, IRI-ის „ფავორიტ“ უსუფაშვილსა და ნაცრეჟიმის დროს მრავალი ჩვიდმეტი მილიონის მშოვნელ ხაზარაძეს თუ იმასაც დავუმატებთ, რომ კვირიკაშვილის გეგმას განხორციელება მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან „მოტეხის“ შემთხვევაში ეწერა, დავინახავთ, რა კვანძიც იკვრებოდა და იკვრება, და, რაც ყველაზე მთავარია, რა ინტერესის გარშემო – ლოგიკას ისევ და ისევ კერძო ინტერესებისკენ, ისევ და ისევ მილიონებისა და მილიარდების ტრიალისკენ მივყავართ.

* * *

როცა „ნაც-სააკაშვილების მეგობართა ჯგუფის“ საქმიანობას მიმოვიხილავთ, ერთი მნიშვნელოვანი დეტალიც უნდა ვიცოდეთ. ქვეყანაში დღეს მიმდინარე „არეულობის სცენარების“ მომზადებაში, „ახალი კმარას“ მონაწილეთა დატრენინგებასა და როლების გადანაწილებაში მთავარი პერსონა ერთი ამერიკელი ქალბატონია (ეს ინფორმაცია ერთ-ერთი ტელეეთერიდან ექსპერტ გია აბაშიძისგან შევიტყვე. სამწუხაროდ, ქალბატონის გვარი ვერ დავიმახსოვრე), რომელიც თავს „მიშას ფანს“ უწოდებს და უარყოფს თავის კავშირებს თავისი ქვეყნის ოფიციალურ სტრუქტურებთან, რაზედაც ჩვენ მხოლოდ მხრები შეგვიძლია, ავიჩეჩოთ.

* * *

მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის უდიდესი პოლიტიკოსის, პრეზიდენტ რონალდ რეიგანის მმართველობის დასრულების შემდეგ, აშშ-ის საგარეო პოლიტიკა (ჩვენთვის ეს არის მნიშვნელოვანი) თანდათანობით დაღმავალი ტრაექტორიით განვითარდა და რამდენჯერმე ჭაობშიც აღმოჩნდა.

რონალდ რეიგანის დიდი გამარჯვებების შემდგომ პერიოდში აშშ-ის პოლიტიკური სპექტრი, ხანგრძლივი დროით, მიღწეულით ტკბობის ნირვანაში გაეხვა, თუ შეიძლება, ასე ითქვას. დროთა განმავლობაში პოლიტიკურ ასპარეზზე გაძლიერდნენ ის სუბიექტები, ვისაც ცხოვრების თავის თავზე მორგების „ღვთით მომადლებული ნიჭი“ აღმოაჩნდა. **თანდათან პოლიტიკა და ეკონომიკა, კერძო ინტერესის ჭრილში, უფრო და უფრო დაუახლოვდნენ ერთმანეთს.**

აღნიშნულ პროცესს შედეგად მოჰყვა რუსეთის პოზიციების გაძლიერება, მისთვის საინტერესო ყველა მიმართულებით. განსაკუთრებით აშკარად და თვალსაჩინოდ ეს ჩვენს რეგიონში ბოლო წლებში განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ **თურქეთში, ირანში, სირიაში, უკრაინაში, მოლდოვაში, აზერბაიჯანსა და საქართველოში რუსეთს ასეთი მასშტაბის გავლენები საბჭოთა იმპერიის დაშლის მერე არ ჰქონია.**

ამავე კონტექსტში (პოლიტიკა-ეკონომიკა-კერძო ინტერესი) ჩემი და სხვა ავტორების არაერთ წერილში გამოტანილ კითხვებს – **რატომ ჩაება საქართველო წინასწარ წაგებულ ომში, სად წავიდა ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების მიზნით გამოყოფილი მილიარდობით დოლარი და როგორ შთანთქა ეს ყველაფერი ერთდღიანმა ომმა** – დღემდე პასუხი არ გასცემია.

* * *

საქართველოსა და ქართველ ერს, ისევე, როგორც რამდენიმე ათეული წლის წინათ აგორებული ნეოლიბერალური ტალღის ყველა მოწინააღმდეგეს მთელ მსოფლიოში დონალდ ტრამპისა და მისი უკვე ნათლად გაცხადებული პოლიტიკის იმედი უნდა ჰქონდეს. ეს არ არის, როგორც ერთ ცნობილ ლექსშია, ერთი „ბარინის“ მეორე „ბარინით“ ჩანაცვლების გლეხური მოლოდინი, ესაა ამერიკის როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის იმ ღირებულებითი და მენტალური ცვლილებების გაძლიერების, გაღრმავებისა და ბოლომდე მიყვანის მოლოდინი, რასაც პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა სამი წლის წინათ მისცა დასაბამი.

SOS!

თუ კარგად დავაკვირდებით, ყოველგვარი „შეიარაღებული თვალის“ გარეშეც მკაფიოდ დავინახავთ, რომ **„ნაც-სააკაშვილების მეგობართა ჯგუფის“ წევრები, ძირითადად, იმ პოლიტიკური ძალების წარმომადგენლები არიან, ვინც ყველა ხერხით (ბულინგით დაწყებული და იმპიჩმენტის საპარლამენტო პროცედურით დამთავრებული) გააფთრებით იბრძვის აშშ-ის პრეზიდენტისა და მისი პროგრესული, მძიმედ დაავადებული მსოფლიოს გადარჩენისკენ მიმართული პოლიტიკის წინააღმდეგ.**

დასასრულ, შეჯამების სახით, შეიძლება, ითქვას – **საქართველოს ბედი 2020 წლის შემოდგომით გასამართი ორი არჩევნების შედეგებზეა დამოკიდებული. კარგი სცენარით, აქ – „ქართულმა ოცნებამ“ უნდა გაიმარჯვოს, სოლიდური უპირატესობით, იქ – დონალდ ტრამპმა.**

ბიძინა დვალი

ბიძინას – ბიძინასგან!

NDI და IRI საქართველოს წინააღმდეგ

გაგრძელება

თვითმკვლელობისთვის ბანერულები!..

საქართველოში **რომ ახლა ამბავი ხდება, 15 წლის მოზარდს კი არა, მრავალჭირნახულ, ცხოვრებაში გამობრძმედილ ზრდასრულსაც კი შეიძლება უმტყუნოს ნერვებმა... ადამიანი, საბედნიეროდ (იქნებ საუბედუროდ!) რობოტი არ არის, ხელოვნური, ტექნიკური აპარატებისგან შეკოწიწებული. იგი ხომ ბუნების შექმნილია, მგრძნობიარე გულით და ნერვებით დაგვირისტებული, თავისი ფსიქოლოგიური წყობით, ათიათასი წვრილმანი თუ მსხვილმანი ორგანოთი გაწყობილი, მიუწვდომელი, სასწაული სამყაროა... მაგრამ, საუბედუროდ, ადვილად მოწყვლადი. გასაფრთხილებელი, მოსავლელი... სად არის, მერე, ეს სიფრთხილე, ვის ენაღვლები, ვინ გენაღვლება... განა მარტო ჩვენ გვჩვევია ეს გაუფრთხილებლობა. ასე რომ იყოს, რა უჭირდა კაცობრიობას, ერთ პატარა საქართველოს მოხედავდა როგორმე! დედამიწის ორივე სფეროზე, ნებისმიერ ადგილას, სადაც კი ადამიანებით დასახლებული მიწაა, არის გაუტანლობა, ღალატი, შური, ბოღმა, და მეტიც, ზოგან სისხლისმღვრელი ომი, ხოცვა და ჟლეტა... ეს უკანასკნელი არც ჩვენ დაგვკლებია. დაგვკლებია რომელია, მომეტებულადაც გვქონია, მაგრამ იგივე უცნაური და აუხსნელი კანონით ბოროტი კეთილით შეცვლილა, სიძულვილი — სიყვარულით, სიბნელე სინათლეს დამორჩილებია და ასე მოვედით დღემდე. მეცნიერებმა ვერ დაადგინეს და ჩვენ რას დავადგენთ, რატომ ვერ სწავლობს კაცობრიობა საუკუნეების მანძილზე მიღებულ გაკვეთილებს და მუდამ უშვებს ერთი და იგივე შეცდომებს? განა ეს აუხსნელი ამოცანა არ არის?! დიახ, არის და ჩვენ დავუბრუნდეთ ახლა იმ დიდ სატკივარს, რამაც ამ წერილის დასაწერად მიბიძგა.**

15 წლის ბიჭმა, ამაყმა და თავმოყვარემ, პედაგოგებისა და გამომძიებლის დაკითხვებით შეურაცხყოფილმა, ვერ აიტანა, ვერ მოერია დამთრგუნველ გრძნობებს და თავი მოიკლა. ნუთუ მხოლოდ ეს ერთჯერადი შეურაცხყოფა იყო ამ უბედურების მიზეზი? შეიძლება, მაგრამ მეჩვენება, რომ მისი ფსიქიკა დღეს ამისთვის შემზადებული იყო.

როგორ არ გაგვიგონია და როგორ არ ვიცით, კაზინოებში თუ სხვადასხვა სახელწოდებებით მორჭმულ დაწესებულებებში, სადაც ათასგვარი მომხიბვლელი რეკლამებით იწვევენ ადამიანებს აზარტულ თამაშებზე, ფულის მოსაგებად, რამდენი ოჯახი გაუბედურდა, რამდენი ახალგაზრდა დაიღუპა... ამ უბედურებას ახლა **ქუჩაში „სახელმწიფო საქმეების გასარჩევად“ ახალგაზრდების „გაწვევა“ დაემატა**. რა თქმა უნდა, ეს სულ სხვა რაღაცაა, მაგრამ ეს „რაღაცა“,ნამდვილად ჰგავს სახიფათო აზარტს, რომელიც მთიდან წამოსული ზვავივით დღითი დღე იზრდება და არავინ არ ჩანს მისი შემკავებელი. პირიქით, **არცთუ ჯანსაღი ემოციებით დამუსტული ახალგაზრდები კიდევ უფრო გააქტიურდნენ, დაიყვნენ სხვადასხვა სახელწოდების ჯგუფებად, ზოგმა რა დაირქვა და ზოგმა — რა და ზღვარგადასულები სიცოცხლისთვის სახიფათო კლდეებზე მიბობღავენ...** საუბედუროდ, ყოველივე ამას ხელს უწყობენ არა მხოლოდ ოპოზიციონერი, ეგრეთ წოდებული პოლიტიკოსები, რომლებიც შენიღბულად და მოხერხებულად, სამართლიანი და უკეთესი ცხოვრების შექმნის დაპირებებით, სათავისოდ იყენებენ ამ ძალას, პირდაპირ მიმართავენ მთავრობის წინააღმდეგ, არამედ თავად მთავრობაც, რომელმაც თავი გამოიჩინა თავისი სიჯიუტით და არაპროფესიონალიზმით. არ იციან, რომ **კარგი მთავრობა მხოლოდ ის კი არ არის, კანონებს რომ ზედმიწევნით იცავს, არამედ ის, ვინც ხალხს მშვიდობიანი ცხოვრების გარემოს შეუქმნის. და ასე იმღვრევა წყალი, რომელშიც მომარჯვებული ოპოზიციონერები „კარგ ღლავებს“ იჭერენ... ახლა უფრო წელგამართულები, თამამად მოუწოდებენ ქუჩაში გამოსულ ახალგაზრდებს არა მხოლოდ დაუმორჩილებლობისკენ, არამედ, პირდაპირ რევოლუციისაკენ.** ყოველდღე დაძაბულობა, ბარიკადების მოსაწყობი ქვიშით სავსე ტომრებით, სამთავრობო დაწესებულებების დასაბლოკად მომზადებული ბოქლომებითა და ჯაჭვებით წინ და უკან სირბილი, პოლიციასთან ჭიდილი, ყვირილი, სტვენა, თავშეუკავებლობა, ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფები — უაღრესად ცუდად აისახება ამ საოცარ, ნერვებისმომშლელ დავიდარაბაში ნებსით თუ უნებლიეთ ჩართულ საზოგადოებაზე. გარეთ ხარ თუ სახლში, ამას მნიშვნელობა არა აქვს. ტელევიზორში, არხების უმეტესობა ფეხდაფეხ მისდევს ქუჩის სურათებს. „მარჯვე“ ჟურნალისტები ერთმანეთს დაპირისპირებულთა რესპონდენტებით კიდევ უფრო ტრაგიკულად გადმოგვცემენ ქალაქის ქუჩებში, საკრებულოში თუ თავად პარლამენტში მომხდარ უგუნურ, მაგრამ სავსებით დრამატულ მოვლენებს.

დიდიან-პატარიანად აწრიალებულია მთელი საქართველო. აბა, მითხარით, ვის სცალია მოზარდებისთვის? თუ მოვიცლით და დავუკვირდებით, ბევრი მათგანის საქციელში ყველაფრისადმი პროტესტს დავინახავთ, თუ მოვიცლით, მაგრამ სად გვცალია მათთვის... და ისინი თავის თავთან რჩებიან ობლად. ჩვენ კი ვერაფერს ვამჩნეთ, ვითომ მხიარულები, ვითომ ბედნიერნი, მომავლის იმედით სავსენი გვეჩვენებიან, სინამდვილეში კი ყველაფერი პირიქით არის — უმეგობროდ და უიმედოდ დარჩენილებმა ამ დაძაბულ და არეულ-დარეულ ცხოვრებაში არ იციან, რა ქნან. ვინ ასწავლა მათ სირთულეების გადალახვა, სიცოცხლის სილამაზე და განუმეორებლობა.

ან სიყვარული ვინ ასწავლა, თანადგომა, შრომა, გარჯა და პატივისცემა. სამშობლო? რა არის სამშობლო მათთვის? ნუთუ ეს ყველაფერი, რასაც უყურებენ, ეს არის სამშობლო? ანდა, სად არის მათი როლი და ადგილი? სად, რა დროს და ვის წინაშე აიღონ პასუხისმგებლობა? მადლიერება, შეცოდება? მაგრამ ისინი ვინ შეიცოდა, ვინ დაინდო? წაიყვანეს, რამდენიმე ადამიანის წინაშე დაუწყეს სულის ბურღვა, ყველაფერი გადმოაფრქვიეო, მერე თანატოლები დაუპირისპირეს... საწყალი ლუკა, საწყალი ნინო, ერეკლე, ნანა, თამარი... რატომ, რა კარგი ბავშვი იყოო, გვიკვირს. როგორ გაწირა სიცოცხლე, არ დაინდო მშობლებიო, რატომ გვიკვირს, როდესაც არ ვიცით, წარმოდგენაც არა გვაქვს, რა ხდება ამ ბავშვის არამც თუ ქვეცნობიერში, არამედ ტვინში, სულში, გულში! დიახ, ლუკა შემზადებული იყო იმ ყოფის მოსასპობად, რომელიც მას „დაუწესეს“. გაუძნელდა იქ ცხოვრება და არ იცოდა, რომ ყველასი და ყველაზე მეტად თავისი თავის შეურაცხმყოფელ საქციელს სჩადიოდა. არ იცოდა, სიკვდილი ყველაზე ვაჟკაცთა კი არა, ყველაზე სუსტთა და სულმდაბალთა გამოსავალი რომ არის!.. აბა, რატომ არ უგებს წესს ჩვენი რელიგია თვითმკვლელებს? რა თქმა უნდა, ლუკამ არც ეს იცოდა და განა ვინმემ მოზარდებში იცის, რას ქადაგებს მართლმადიდებლობა? რომ იცოდნენ, მაშინ უფრო სხვაგვარად მოიქცეოდნენ ლუკას თვითმკვლელობით დამწუხრებულნი. არ გამართავდნენ სიკვდილისაკენ წამაქეზებელ რიტუალებს. დამწუხრდებოდნენ, მაგრამ სხვაგვარად. ჩვენ — დიდებს, პედაგოგებს, დირექტორებს, გამომძიებლებს და სხვებს და სხვებს კი სინანულის გრძნობასთან ერთად გაგვიჩნდებოდა სურვილი მეტი გულწრფელობისა, მეტი ცოდნისა, განათლებისა და ამ ყოველივეს მომცველობით მოზარდებთან ურთიერთობისა. აღმზრდელის როლი არ ნიშნავს აღსაზრდელთან უპირატესობას. კარგი პედაგოგი ის არის, ვინც თავის აღსაზრდელს თანატოლად და მეგობრად თვლის, თანაც ისე, რომ ინარჩუნებს დიდ ავტორიტეტს მოზარდის თვალში.

დაბოლოს, ქუჩაში გასულებო, პოლიტიკოსებო და პოლიტიკის ხიბლით გათანგულო ახალგაზრდებო, მთავრობაში შეყუჟულნო, თბილ სკამებს მიტმასნილებო, — ამათო მომხრეებო და მოწინააღმდეგეებო, ნიჰილისტებო, ერთმანეთის მტრებო და მოშურნეებო, ნუთუ ძნელია იმის დანახვა, რომ თქვენი, ზღვარს გადასული ამბიციებით კლავთ საკუთარ თავში ადამიანობას, სხვათა — მტრისა და მოყვრის თვალში ავტორიტეტს უსპობთ ჩვენს სახელმწიფოს და, რაც მთავარია, თვითმკვლელობისთვის წირავთ მოზარდებს — ჩვენს მომავალს!

გულნარა სტურუა

დაწესდება დაჭრილ და დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეთა დღე

ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით, მომავალი წლიდან დაჭრილ და დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეთა დღე დაწესდება. ახალი ინიციატივის შესახებ თავდაცვის მინისტრმა „დაჭრილ მებრძოლთა თანადგომის“ ფონდის 2019 წლის შემაჯამებელ ღონისძიებაზე განაცხადა.

სიტყვით მიმართვისას ირაკლი ღარიბაშვილმა ყურადღება დაჭრილი და დაშავებული სამხედრო მოსამსახურეების რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის მნიშვნელობაზე გაამახვილა და ამ კუთხით თავდაცვის სამინისტროს ახალ ხედვაზე ისაუბრა: **„ჩვენ ახალი, ჯარისკაცზე ორიენტირებული სოციალური პოლიტიკის ფარგლებში, 2020 წლის იანვრიდან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაჭრილ და დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეებს, ტრავმებისა და ზოგადი ფიზიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ხელფასზე 200-დან 800 ლარამდე დანამატები დაუწესდებათ. ჩემი გადაწყვეტილებით, იანვრიდან დანამატების ბიუჯეტი გაოთხმაგდება. ჩვენ კვლავ გავაგრძელებთ მათზე ზრუნვასა და მათ ფინანსურ მხარდაჭერას“**, — აღნიშნა მინისტრმა და ამერიკელ პარტნიორებს, ასევე „დაჭრილ მებრძოლთა თანადგომის“ ფონდს“ დაშავებულ სამხედროებზე ზრუნვის პროცესში გაწეული მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, დაჭრილი და დაშავებული სამხედრო მოსამსახურეების დღის დაწესების გარდა, მათ პატივსაცემად ცნობიერების ასამაღლებელი კვირეულიც მოეწყობა.

ფონდის დამფუძნებლის გიორგი რამიშვილის განცხადებით, კომპანია „სილქნეთი“ 2020 წლიდან, ნაცვლად 100 000 ლარისა, ყოველწლიურად 300 000 ლარს გაიღებს.

დაჭრილ სამხედრო მოსამსახურეთა მხარდაჭერის ფონდი Wounded Warrior Support Foundation 2016 წლის 25 მარტს დაარსდა. მოგვიანებით, ბენეფიციართა კონტინგენტის, ასევე პოტენციური დონორების წრის გაფართოების მიზნით, ფონდის განვითარებაში კერძო სექტორის ჩართვა მიზანშეწონილი გახდა. 2018 წლის ივლისიდან ფონდს კომპანია „სილქნეთი“ ხელმძღვანელობს. ფონდმა დაჭრილი და დაშავებული სამხედრო მოსამსახურეების, ასევე, ვეტერანების ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი და საქველმოქმედო ღონისძიება განახორციელა. 2019 წლის განმავლობაში ფონდმა სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის წევრების მკურნალობის, რეაბილიტაციის, განათლების, საცხოვრებელი სახლის ადაპტირების ფარგლებში სხვადასხვა პროექტი დააფინანსა.

„ნატვრის ხე“ - „სიცოცხლისთვის“

30 დეკემბერს, 20.00 საათზე, საქართველო - ისრაელის ბიზნესპალატა, „ისრაელის სახლი“ და ნინო სურგულაძის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ნატვრის ხე“ თბილისში, სასტუმრო WYNDHAM GRAND TBILISI-ში საქველმოქმედო საღამოს „სიცოცხლისათვის“ გამართავს.

ღონისძიების ორგანიზატორია საქართველო-ისრაელის ბიზნესპალატა, „ისრაელის სახლი“. საღამოზე მოწვეულნი არიან საპატიო სტუმრები ისრაელიდან — პარლამენტარები, პოლიტიკური და ბიზნესელიტის ორმოცდაათამდე წარმომადგენელი, ისრაელის ბიზნეს-კომპანიები საქართველოში, თბილისის მერი და პარლამენტარები.

საღამოზე მსოფლიოში აღიარებული მეცოსოპრანო ნინო სურგულაძე წარდგება. მას აკომპანემენტს გაუწევს პიანისტი და კომპოზიტორი ნიკა ნიკვაშვილი. შემოსული თანხებით ფონდ „ნატვრის ხის“ ბენეფიციარებს დაეხმარებიან, რომელთაც საზღვარგარეთ მკურნალობა ესაჭიროებათ.

ნინო სურგულაძემ გასული რვა საქველმოქმედო კონცერტით, საზოგადოებისა და მსოფლიო ვარსკვლავების ჩართულობით ოთხმოცამდე ბავშვს აჩუქა სიცოცხლე, ბავშვების უმრავლესობას საზღვარგარეთ მკურნალობა დაუფინანსდა და ჩაუტარდათ ურთულესი ოპერაციები. ასევე ფონდმა დახმარება გაუწია სოციალურად დაუცველ ათასამდე ოჯახს. ფონდის საქველმოქმედო ნომერზე დღემდე ხუთასი ათასზე მეტი ზარია შემოსული.



იქნება თუ არა შეწყალების აქტი ექიმის მიმართ?!

მას შემდეგ, რაც ვაჟა გაფრინდაშვილს ახალგორის სასამართლოს მოსამართლემ ფატიმა ფარასტაევამ ერთი წლითა და 9 თვით პატიმრობა მიუსაჯა როგორც ცხინვალში, ისე მოსკოვში უფრო ინტენსიურად დაიწყო საუბარი ექიმის შეწყალებით გათავისუფლების ვერსიაზე.

დე ფაქტო რესპუბლიკის პარლამენტის ყოფილი წევრი როლანდ ქელეხსაევი კონკრეტულ მაგალითსაც იხსენებს, როგორ იყენებდა შეწყალების აქტს დე ფაქტო რესპუბლიკის წინა პრეზიდენტი ლეონიდ თიბილოვი. ცხინვალის ციხეში მყოფი საქართველოს მოქალაქეების მიმართ მსგავსი აქტი 2008 წლის ომის შემდეგ ედუარდ კოკოითისაც გამოუცია. ქელეხსაევის აზრით, მას შემდეგ, რაც განაჩენი გამოცხადდა, ანატოლი ბიბილოვზე ექიმის გათავისუფლების მოთხოვნით ზეწოლა გაიზრდება.

„ისეთი გრძნობა მაქვს, რომ დიდხანს არ იჯდება. ამის სასარგებლოდ მეტყველებს ჩვენი სტატისტიკა. შემიძლია, გაგახსენოთ თეიმურაზ ჯერაპოვის ისტორია, რომელიც 2008 წლის აგვისტოში იყო დიმიტრი სანაკოევის მთავრობაში. 2012 წლის ნოემბერში 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, მაგრამ თვე-ნახევარში შეიწყალა სამხრეთ ოსეთის მაშინდელმა პრეზიდენტმა ლეონიდ თიბილოვმა, და ახალი წლის წინ გაუშვა. ცხადია, რომ ექიმის შემთხვევაში იქნება რუსი პარტნიორების თხოვნა და ჟენევის დისკუსიებში ევროპელი პარტნიორების თხოვნაც. ჩვენი ხელისუფლება ფიცხია, მაგრამ მალე გასდის. საწყენი ის არის, რომ, როცა აპატიმრებენ, ამაზე მთელი მსოფლიო ლაპარაკობს და როცა უშვებენ, ამას უკვე არავინ ამჩნევს“, — ამბობს როლანდ ქელეხსაევი.

ვაჟა გაფრინდაშვილი 45 დღეა ცხინვალის ციხეში იმყოფება და საერთაშორისო ორგანიზაციები როგორც ცხინვალის, ისე რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების წარმომადგენლებს მის გათავისუფლებას სთხოვენ. მოსკოველი პოლიტოლოგი ნიკოლაი სილაევი მიიჩნევს, რომ ამ საქმიდან რეპუტაციულ ზიანს უკვე კრემლიც იღებს და ვითარების გამოსასწორებლად როგორც ცხინვალს, ისე მოსკოვს შეწყალების აქტით შეუძლია, ამ ჩიხიდან გამოვიდეს: **„ვფიქრობ, რომ სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებისთვის სიტუაციის გამოსწორების ერთადერთი საშუალება მისი გათავისუფლებაა, ამისთვის კი საჭირო იურიდიული ფორმა უნდა მოძებნონ“.**

ვაჟა გაფრინდაშვილის სასამართლო პროცესი ცხინვალში 20 დეკემბერს გაიმართა. ახალგორის სასამართლოს მოსამართლემ ფატიმა ფარასტაევამ ექიმს საზღვრის განზრახ დარღვევის ბრალდებით სასჯელის ყველაზე მკაცრი ზომა შეუფარდა, არადა, შეეძლო ან ფინანსური ჯარიმა, ან იძულებითი შრომა გამოეყენებინა, რის საშუალებასაც მას რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 322 -ე მუხლი აძლევდა, მაგრამ გაფრინდაშვილი მის მიერ გაკეთებული განცხადებების გამო ისჯება მკაცრად და ამას ცხინვალში არც მალავენ. ჯერ კიდევ აღმკვეთი ღონისძიების შეფარდებისას, 15 ნოემბერს, გაფრინდაშვილმა მოსამართლეს უთხრა, რომ არანაირ საზღვარს არ აღიარებს, ცხინვალს კი საქართველოს ტერიტორიად მიიჩნევს, რომელიც რუსეთის მიერ არის ოკუპირებული. ამ განცხადებას მისი ორთვიანი პატიმრობა მოჰყვა. ამის შემდეგ ექიმი თითქოს დაეთანხმა ადვოკატს და დუმილის უფლებას იყენებდა, მაგრამ ბოლო სასამართლოს სხდომაზე დუმილი კიდევ ერთხელ დაარღვია და იგივე გაიმეორა, რაც მანამდეც თქვა.

კონფლიქტოლოგი ზურაბ ბენდიანიშვილი ფიქრობს, რომ ვაჟა გაფრინდაშვილის ბედი რუსეთის პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული. მისი თქმით, ცხინვალში საზოგადოებრივი აზრი ექიმის სასარგებლოა, ბიბილოვის ხელისუფლებაშიც კი არ მოსწონთ მისი ციხეში ყოფნა, რადგან გაფრინდაშვილმა არაერთ ცხინვალელს უმკურნალა და, ზოგადად, ქართველი ექიმების მიმართ პოზიტიური განწყობა აქვთ. ბენდიანიშვილის აზრით, რუსეთი ექიმის საქმეს საქართველოს ხელისუფლებასთან სავაჭროდ იყენებს.

„წმინდად რუსული თემაა. ვისაც ცხინვალში ვესაუბრები, ზოგადად, ექიმების მიმართ დამოკიდებულება არის ძალიან პოზიტიური. იქიდან ბევრია თვითონ ვაჟასთან ნამკურნალევი და საზოგადოებრივი განწყობა არის ძალიან უარყოფითი იმის გამო, რომ ეს კაცი ციხეში ზის. ცხინვალის ხელისუფლებაშიც კი არიან ადამიანები, ვისაც არ უნდა, რომ ეს კაცი დაჭერილი იყოს. აქედან გამოდის, რომ ეს პირდაპირ რუსული თემაა. ამ გზით საქართველოს ხელისუფლებაზე გარკვეულ ზეწოლას ახდენენ და კულუარებში კიდევ რაზე მიდის საუბარი, ჩვენ ხომ არ ვიცით. რუსეთი არის ინიციატორი, რომ ამ კაცს არ უშვებენ“.

ექიმ ვაჟა გაფრინდაშვილის ოჯახმა ჯერ არ იცის, მის გასათავისუფლებლად როგორ იმოქმედებს. გაფრინდაშვილის მეუღლე და მისი შვილები საქართველოს ხელისუფლების ქმედითი ნაბიჯების იმედად რჩებიან, საქართველოს ხელისუფლება კი, თავის მხრივ, საერთაშორისო თანამეგობრობას სთხოვს დახმარებას. საერთაშორისო თანამეგობრობა რუსეთს სთხოვს რეაგირებას და ბიბილოვის ხელისუფლებაზე ზემოქმედებას. რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა, თავის მხრივ, განაცხადეს, რომ ექიმი ახალ წელს სახლში შეხვდება, ახალ წლამდე კი მხოლოდ ბიბილოვის შეწყალების აქტის გამოცემა თუ მოესწრება. თუ გაფრინდაშვილის ადვოკატი ე.წ. სამართლებრივ გზას მიმართავს და ახალგორის სასამართლოს განაჩენს ზემდგომ ინსტანციაში გაასაჩივრებს, ამას კიდევ არაერთი კვირა და, შესაძლოა, თვეც დასჭირდეს.

გოგა აფციაური

გასაჩივრებას აქვს აზრი: იქნებ ცივილიზებულ ქვეყნებს რაღაცნაირად ამ საკითხში მაინც მიჰბაძონ...

◎ 23 წლის შემდეგ ნანახი ცხინვალი

ორ დღეში გავითანგე ორი თვის სტრესით და წარმოიდგინეთ, იზოლატორში მყოფი ადამიანი როგორ იგრძნობს თავს, — ასე აფასებს ადვოკატი **ბადრი მანჯავიძე** რუსეთის მიერ ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში ამასწინანდელ მოგზაურობას ტყვეობაში მყოფი ქართველი ექიმის ვაჟა გაფრინდაშვილის ე.წ. სასამართლო პროცესზე დასასწრებად.

როგორც ცხინვალიდან დაბრუნებულმა ადვოკატმა **„აძცენტს“** უამბო, **23 წლის უნახავი ქალაქიდან მას მეხსიერებაში ჭარბად მობილიზებული სამხედროები და ხანგრძლივი დაკითხვები ჩარჩა.**

ბადრი მანჯავიძე: საკუთარი სურვილით გავემგზავრე, მოტივაცია კი მარტივი იყო: პირადად მენახა ვითარება და ბატონი ვაჟასთვის მედიკამენტები ჩამეტანა. მის ოჯახთან კი მქონდა საუბარი, მაგრამ მეუღლემ თქვა, „არ მინდა, მეორე ქართველიც გახდეს პატიმარიო“. ეს ჩემთვის იმას ნიშნავდა, რომ თავად უნდა მიმეღო გადაწყვეტილება. მე ორმაგი მოქალაქეობა მაქვს (რუსეთის მოქალაქეობა 2005 წელს მივიღე), არავისთვის არაფერი მითქვამს, ისე გავემგზავრე და თუ ცხინვალის რეგიონში შემიშვებდნენ, შევიდოდი. მოგეხსენებათ, ვლადიკავკაზიდან იქით რუსეთის მოქალაქეები დაბადების მოწმობითაც კი გადაადგილდებიან. როდესაც ვლადიკავკაზში გადავედი, რუსული პასპორტით ვმოქმედებდი და იქიდან ცხინვალისკენ ავტობუსით გავემგზავრე. რუსეთისა და ცხინვალის რეგიონის ე.წ. საზღვარზე რუსები და ოსები დგანან, მაგრამ რასაც ვხედავდი, ძირითადად რუსები მუშაობდნენ. დაახლოებით ნახევარი საათი გაგვაჩერეს. მკითხეს, „ვისთან მიდიხარ, დაგვალაპარაკეო“. ვუთხარი, რომ „გიორგი ბესტაუთი იყო ჩემი მასპინძელი (ცნობილი ოსი პოეტი და მთარგმნელი, რომელმაც „ვეფხისტყაოსანი“ ოსურად თარგმნა), რომ „მას ვერ დავალაპარაკებდი და თუ სურვილი ჰქონდათ, შეეძლოთ, წამომყოლოდნენ საფლავზე“. არ მითქვამს, რომ სასამართლო პროცესზე მივდიოდი, რადგან არ შემიშვებდნენ. ხმამაღალი საუბარიც გვქონდა. შემდეგ გზა განვაგრძეთ. ცხინვალში, ავტოსადგურთან ერთი სასტუმროა — „ალანია“, 2-3 ნორმალური ნომერია გადარჩენილი და იქ დავბინავდი. დილით ტაქსი გავაჩერე. საბედნიეროდ, მძღოლმა იცოდა, ვინ იყო გიორგი ბესტაუთი და საფლავზე მიმიყვანა. იქ ვიდეო ჩავწერე და გამოვაქვეყნე, რადგან ვიცოდი, რომ მითვალთვალებდნენ.

შემდეგ მივედი პროცესზე. ჯერ შემიშვეს შენობაში, — პატიმარს რომ მოიყვანენ, დაგიშვებთ პროცესზეო. შემდეგ, ალბათ, გადარეკ-გადმორეკეს, მითხრეს, „დახურული იქნებაო“ და გარეთ გამომიშვეს. სადღაც 15 წუთში მოიყვანეს ვაჟა და უცებ შეიყვანეს შენობაში.

— როგორ გამოიყურებოდა?

— შავი ქურთუკი ეცვა, წვერი აქვს მოშვებული, ისე კი მხნედ გამოიყურებოდა.სასამართლოს წინ ოთხი საათის განმავლობაში ვიდექი, პერიოდულად ბადრაგი გამოდიოდა და მათაც ვკითხე გაფრინდაშვილის მდგომარეობის შესახებ. მითხრეს, „კარგად არისო“. თუმცა ცუდად რომც ყოფილიყო, რა თქმა უნდა, არ მეტყოდნენ. აგრესიულები იყვნენ, „ველარ გაიგეთ, ამ ქვეყანას თავისი საზღვარი რომ აქვს? ამ კაცმაც აღიარა, რომ წინასწარი შეცნობით გადმოკვეთა საზღვარი, არსებობს ჩანაწერებიო“. დაინტერესდნენ, ვინ ვიყავი. „არ ვარ ნათესავი, ერთი ქართველი კაცი ვარ და ჩემოვედი, რომ გავიგო რა ხდება-მეთქი. გაუკვირდათ. ვფიქრობ, სწორედ იმან იმუშავა, რომ არც ცხინვალში, არც ვლადიკავკაზში არავინ მყავს, არც თბილისში მითქვამს ვინმესთვის გამგზავრების შესახებ, მათ შორის, არც ბატონი ვაჟას ოჯახისთვის, ჩემი დაინტერესება აბსოლუტურად უანგარო იყო და ამიტომ შევძელი ჩასვლაც და ჩამოსვლაც. შემდეგ გამოვიდა ადვოკატი (ვლადიმირ ფიდაროვი ჩრდილოეთ ოსეთიდან). სხვათა შორის, იქ ერთი ჟურნალისტი იყო, მაგრამ უთხრა, „არ მომეკარო, არაფერს გეტყვიო“. მე ვუთხარი, რომ მისი კოლეგა ვიყავი და დამელაპარაკა. ძალიან სიტყვაძუნწი კაცია. მითხრა, „წელიწადი და ცხრა თვე მიუსაჯეს, ამათგან სხვას რას უნდა ელოდო?! წინასასამართლო სხდომაზე რაც თქვა, იმავეს იმეორებს აქაც, დუმილის უფლებას არ იყენებს, ვერაფერს გავხდი. ამბობს, „ცხინვალი ოკუპირებულია, აქ საოკუპაციო ჯარია, მათ დამაკავეს მე და საზღვარი არ დამირღვევიაო“. უხასიათოდ ჩანდა ფიდაროვი.

— თუ გქონდათ საუბარი ადვოკატთან, იცის ბატონმა გაფრინდაშვილმა, მასთან დაკავშირებით რა ხდება საქართველოს დანარჩენ ნაწილში, ან როგორია მისი ემოციური მდგომარეობა?

— რაც შეეხება ემოციურ მდგომარეობას, ბადრაგმა მითხრა, „ერთი, წვერი აქვს მოშვებული და რა ვქნათ, მეც ვუშვებ, როდესაც შვებულებაში ვარ, ხალხს კი ჰგონია, რადგან წვერი აქვს მოშვებული, ცუდად არისო“. ადვოკატთან კი წმინდა პროფესიული საუბარი მქონდა. გასაჩივრების საკითხით დავინტერესდი. თქვა, „აქ სამართალს იპოვი? არ იციო?!“.

— სადღეისოდ არსებული მოცემულობის გათვალისწინებით, რა გზები რჩება ბატონი გაფრინდაშვილის დასახსნელად?

— როგორც რიგითი ადვოკატი, ვიტყვი, რომ მიუხედავად ყველაფრისა, გასაჩივრებას აქვს აზრი: იქნებ ცივილიზებულ ქვეყნებს რაღაცნაირად ამ საკითხში მაინც მიჰბაძონ, აპელაციამ და კასაციამ ცოტა მაინც დაუკლოს (სასჯელის ზომა). თუმცა არც ისაა გამორიცხული, გაამართლონ, მიუხედავად იმისა, რომ ვაჟა გაფრინდაშვილი ბრალს არ აღიარებს. რაც შეეხება შეწყალებას, ეს მექანიზმი მაშინ მუშაობს, როდესაც ბრალს აღიარებ, მაგრამ არარსებულ, უკანონო „ქვეყანასთან“ გვაქვს საქმე და შესაძლოა, ეს ნაბიჯიც გადადგან. ვფიქრობ, საერთაშორისო საზოგადოების წნეხის შედეგი იყო, ალბათ, რომ მაქსიმუმი არ მიუსაჯეს. როგორც ადვოკატმა მითხრა, პროკურატურამ მაქსიმალური სასჯელი — ორი წელი მოითხოვაო. ამ სასჯელის მისჯა შეეძლოთ.

— რაიმე სახის უხერხულობა თუ იგრძნობოდა იმის გამო, რომ ექიმი ჰყავთ ტყვეობაში?

— მაგათ ჰყავთ ჟურნალისტები, აქვთ გაზეთები, ტელევიზია, რადიო და ა.შ. არც ერთი წარმომადგენელი არ მინახავს იქ. ერთი კაცი ვიდექი გარეთ. დამკვირვებლის თვალითაც ჩანს, რომ იქ არ არსებობს დამოუკიდებელი, სხვა აზრი.

— ისევ გეგმავთ ვიზიტს?

— არა. ძალიან დიდი სტრესი მივიღე. ეს ორი დღე ჩემთვის ორ თვეს ნიშნავდა. როდესაც უკან ვბრუნდებოდი, ლარსზე ჩვენმა უსაფრთხოების სამსახურმა საათზე მეტხანს გამაჩერა და დამიწყეს დაკითხვა. უკვე ყველაფერი იცოდნენ, ალბათ, მაგრამ ლაპარაკის თავიც აღარ მქონდა. ერთსა და იმავეს მეკითხებოდნენ, „გვაჩვენე ვიდეო“ და ა.შ. საზღვარი აქედან ორ წუთში გავიარე და შემოსვლისას საათსა და 15 წუთს დავყავი საზღვარზე. მე ორ დღეში როგორი სტრესი გავიარე და წარმოიდგინეთ, იზოლატორში რომ იმყოფება ადამიანი, ის როგორ იქნება...

— აქამდე თუ ყოფილხართ ცხინვალში და როგორია თქვენი ახალი შთაბეჭდილება?

— სადღაც 1996 წელს ვიყავი, გორიდან გადავედი მაშინ. ერთი შეხედვით, ძალიან ბევრი სამხედროა ცხინვალში. ძალიან გასამხედროებული ქალაქია. სულ რუსული სამხედრო ფორმებით იყვნენ, მათ შორის — ალბათ, ოსებიც. კვების ობიექტი ვერ ვიპოვე, რომ სადღაც ჩამოვმჯდარიყავი და საკვები მიმეღო. რაღაც-რაღაცები კია გაკეთებული, გზა ნორმალურია, რაღაცას აშენებენ. არის იური ლუჟკოვის, ვლადიმირ პუტინის, სტალინის ქუჩები...

პუტინი და მეორე მსოფლიო ომის გაკვეთილები

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა 19 დეკემბერს გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ ევროპელი ლიდერებისაგან განსხვავებით, „სტალინს თავი არ შეურცხვენია“ ჰიტლერთან პირდაპირი კავშირებით, ხოლო „საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის პრეზიდენტები მას (ჰიტლერს) ხვდებოდნენ და ქაღალდებსაც აწერდნენ ხელს“.

როგორც გაირკვა, მეორე მსოფლიო ომის დაწყების მიზეზებსა და ომამდელ ევროპაში საბჭოთა კავშირის პოლიტიკის შესახებ რუსეთის პრეზიდენტი წერს სტატიას, რომელშიც, მისი შეფასებებით გაქარწყლებული იქნება ევროპარლამენტის რეზოლუცია, რომელშიც მეორე მსოფლიო ომის გაჩაღებაში თანაბრად არიან დადანაშაულებული ნაცისტური გერმანია და კომუნისტური საბჭოთა კავშირი.

პუტინი სტალინიზმსა და ტოტალიტარიზმზე

რუსეთის პრეზიდენტი პრინციპულად მიიჩნევს **„ტოტალიტარიზმის დაგმობას“, როგორც მიუღებელი პოლიტიკური სისტემისა. „ჩვენი ხალხი პირველი მსხვერპლი იყო ამ ტოტალიტარიზმის. ჩვენ დავგმეთ ის და დავგმეთ პიროვნების კულტი“,** — განაცხადა რუსეთის ლიდერმა.

დოკუმენტში, რომელსაც ეწოდება „ევროპის წარსულის მნიშვნელობა ევროპის მომავლისათვის“ (the importance of European remembrance for the future of Europe), გაკრიტიკებულია არა მხოლოდ ნაცისტური რეჟიმი და საბჭოთა ტოტალიტარიზმი, არამედ ასევე „ექსტრემისტული და ქსენოფობიური ძალების“ აღზევების ტენდენცია ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში.

„კომუნისტურმა საბჭოთა კავშირმა და ნაცისტურმა გერმანიამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას თავდაუსხმელობის შესახებ, მოლოტოვ-რიბენტროპის ცნობილ პაქტს, რომლითაც ორმა ტოტალიტარულმა რეჟიმმა გადაინაწილა და თავიანთი მიზნების სფეროში მოაქცია ევროპისა და დამოუკიდებელი ქვეყნების მიწა-წყალი, რამაც გზა გაუხსნა მეორე მსოფლიო ომის გაჩაღებას“, — ნათქვამია რეზოლუციაში, რომელიც ევროპის ქვეყნებს ტოტალიტარული რეჟიმების, მათ შორის სტალინიზმის გასამართლებისკენ მოუწოდებს.

არ დარჩენილა რუსეთში ხელისუფლების შტო, რომელსაც ევროპარლამენტის ეს რეზოლუცია არ გაეკრიტიკებინა. დოკუმენტზე ვრცლად ილაპარაკა ვლადიმირ პუტინმა, რომელმაც 2019 წლის ბოლო პრესკონფერენციაზე სრულიად „მიუღებელი და არაკორექტული“ უწოდა ევროპარლამენტის სექტემბრის რეზოლუციას.

აი, რუსეთის პრეზიდენტის რამდენიმე ციტატა ევროპარლამენტართა მისამართით:

● საბჭოთა კავშირის გათანაბრება ფაშისტურ გერმანიასთან ცინიზმის მწვერვალია. ეს ნიშნავს, რომ ამ ხალხმა არ იცის ისტორია, არ იცის წერა-კითხვა;

● დაე, მათ წაიკითხონ, თუ როგორ იქნა მოწერილი ხელი 1938 წლის მიუნხენის გარიგებაზე, როგორც მას ჩვენ ვუწოდებთ; თუ როგორ მოაწერეს ჰიტლერთან ერთად წამყვანი ქვეყნების — საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის ლიდერებმა ხელი ჩეხოსლოვაკიის გაყოფას;

● სტალინს თავი არ შეურცხვენია ჰიტლერთან პირდაპირი კავშირებით, ხოლო საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის პრეზიდენტები მას (ჰიტლერს) ხვდებოდნენ და ქაღალდებსაც აწერდნენ ხელს;

● დიახ, ხელი მოეწერა მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტს და მის საიდუმლო დანართს. ეს მართალია. კარგია ეს თუ ცუდი? თქვენს ყურადღებას მივაქცევ იმას, რომ საბჭოთა კავშირმა ყველაზე ბოლოს — ეს ძალიან მნიშვნელოვანია, ევროპულ სახელმწიფოთაგან ყველაზე ბოლოს — მოაწერა ხელი გერმანიასთან თავდაუსხმელობის პაქტს. ყველა დანარჩენმა მანამდე მოაწერა. აბა, რა უნდა ექნა საბჭოთა კავშირს? პირისპირ დარჩენილიყო?

● დიახ, ამბობენ, რომ არსებობს საიდუმლო ოქმები პოლონეთის გაყოფის შესახებ. მაგრამ პოლონეთი თავად მონაწილეობდა ჩეხოსლოვაკიის გაყოფაში. შევიდა ორ რაიონში — ტაშინკისა და კიდევ მეორე რაიონში. და მორჩა, მიიტაცა ისინი. მზად იყვნენ აგრესიისთვისაც. ამისთვის მთელი დაჯგუფება ჰქონდათ შექმნილი. მაგრამ არ დასჭირდათ, რადგან ჩეხოსლოვაკია, უბრალოდ, დანებდა ამ ზეწოლას და დათმო ეს მიწა-წყალი.

ამ და სხვა სადავო ისტორიულ მომენტებზე ვლადიმირ პუტინი უფრო ვრცლად ისაუბრებს საავტორო სტატიაში, რომლის გამოქვეყნებასაც რუსეთის პრეზიდენტი მოსახლეობას მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების 75-ე წლისთავისათვის დაჰპირდა.

რას ნანობს პუტინი?

წლის ბოლო პრესკონფერენციაზე, პუტინი, სხვათა შორის, შეეხო ფაშიზმზე გამარჯვების, დიდ სამამულო ომში გამარჯვების 75-ე წლისთავის ფართოდ აღნიშვნასაც, როგორც ეს დამკვიდრებულია საბჭოთა კავშირის დროიდან. როდესაც ჟურნალისტი შეეკითხა, ნანობს თუ არა, რომ 9 მაისს სამხედრო აღლუმზე ერთიან მწყობრში წითელ მოედანზე არ იქნებიან „ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების, მათ შორის, საქართველოსა და უკრაინის“, სამხედრო მოსამსახურეები, პუტინმა განაცხადა, **„მე ვნანობ, რომ საბჭოთა კავშირი აღარ არსებობსო“**. შემდეგ კი დასძინა:

> **„დიდი შეცდომა“ იქნება, თუ რომელიმე ქვეყანა აღლუმზე არ ჩამოვა, საერთაშორისო ურთიერთობების „დღევანდელი თავისებურებების“ გათვალისწინებით. „ეს იქნება იმის ნიშანი, რომ ისინი სათანადო პატივისცემას არ იჩენენ იმ ადამიანებისადმი, რომლებმაც იბრძოლეს და სიცოცხლე შესწირეს თავიანთი სამშობლოს დამოუკიდებლობას“.**

აქ რუსეთის ლიდერი, რომელიც, ჩანს, მომავალ პუბლიცისტურ წერილზე ბევრს ფიქრობს, კვლავ ისტორიას მიუბრუნდა:

> **„დოკუმენტებში, მათ შორის, ნაცისტური გერმანიის დოკუმენტებში წერია: გამოვიყენოთ სლავური მოსახლეობის ნაწილი მეტწილად ურალში, ჩრდილოეთის მიწა-წყალზე სამუშაოდ. რას ნიშნავდა ეს? სასიკვდილოდ გაწირვას. საუბარი შეეხებოდა არა მხოლოდ სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებას, საუბარი შეეხებოდა აღმოსავლეთსლავური ეთნოსის — რუსებისა და იმავე უკრაინელების — გადარჩენას. აი, რაზე იყო საუბარი“,** — აღნიშნა ვლადიმირ პუტინმა.

როგორც ზემოთ ითქვა, იგი ამზადებს სტატიას, რომლითაც დაუპირისპირდება მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა როლის შესახებ დასავლეთში არსებულ „მიუღებელ“ და „არაკორექტულ“ შეფასებებს.

კრემლი ამ იდეოლოგიურ დაპირისპირებაში ცდილობს, ჩააბას დასავლეთის წარმომადგენელი ისტორიკოსები და მეცნიერები. ერთ-ერთი მათგანი კანადაში მცხოვრები ისტორიკოსი მაიკლ ჯაბრალ კარლეი ერთი კვირის წინ ესტუმრა მოსკოვს თავისი ახალი წიგნით — „დასავლეთის ფარული ომი რუსეთის წინააღმდეგ“, რომელშიც საუბარია იმაზე, თუ როგორ ებრძოდა საბჭოთა კავშირი „რუსოფობიის გაჩაღებას“.

ნიშანდობლივია, რომ მონრეალის უნივერსიტეტის პროფესორის თანახმად, მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი ნაკარნახევი იყო ისტორიული გარდაუვალობით და წარმოადგენდა იმის შედეგს, რომ კრახი განიცადა „ჰიტლერის დაწყნარებისკენ მიმართულმა“ დასავლეთის სტრატეგიამ.

და კიდევ ერთი ნიშანდობლივი ფაქტი ისაა, რომ კარლეის წიგნი გამოიცა რუსეთის „სამამულო ისტორიის“ ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, ფონდისა, რომელიც ვლადიმირ პუტინის განკარგულებით 2016 წლის აპრილში შეიქმნა და რომელსაც სათავეში უდგას სერგეი ნარიშკინი, რუსეთის საგარეო დაზვერვის ხელმძღვანელი, ვლადიმირ პუტინთან ერთ-ერთი ყველაზე დაახლოებული პოლიტიკოსი.

კობა ლიკლიკაძე

სკოლის მოსწავლეებს მომიტინგეების დაშლას ასწავლიან

რუსეთში, ჩელიაბინსკის ოლქის ქალაქ ზლატოუსტის ერთ-ერთ საჯარო სკოლაში სასჯელაღსრულების ფედერალური სამსახურის სპეცდანიშნულების რაზმმა მოსწავლეებს დემონსტრანტების ძალადობრივი დაშლის მეთოდები აჩვენა. ვიდეო ადგილობრივი ტელევიზიის YouTube-გვერდზე გამოქვეყნდა, მოგვიანებით კი წაიშალა.

ვიდეოზე ჩანს, რომ ფარებით და ხელკეტებით შეიარაღებულმა სპეცრაზმელებმა სკოლის მოსწავლეებს

დემონსტრანტების ცემისა და თავის დაცვის წესები გააცნეს.

მოსწავლეთა მშობლები ღონისძიებას არ ესწრებოდნენ და მომხდარის შესახებ მხოლოდ ტელევიზიიდან გაიგეს.

ტრამპს შესაძლოა, ახალი ბრალდება წაუყენონ

აშშ-ის „დემოკრატიულმა პარტიამ“ იმპიჩმენტის ფარგლებში დონალდ ტრამპს შესაძლოა, ახალი ბრალდება წაუყენოს. ამის შესახებ კონგრესის წარმომადგენელთა პალატის იურიდიული კომიტეტის მიერ კოლუმბიის ოლქის სააპელაციო სასამართლოში გაგზავნილ დოკუმენტშია საუბარი.

დოკუმენტის თანახმად, თეთრი სახლის ყოფილი იურიდიული მრჩევლის დონალდ მაკგანის ჩვენების მოსმენის შემდეგ, აშშ-ის პრეზიდენტის მოწინააღმდეგეები ტრამპის მხრიდან ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ახალი გარემოებების აღმოჩენას იმედოვნებენ.

„დემოკრატიული პარტიის“ წევრები ცდილობენ, რომ მაკგანისგან ჩვენების მიცემა სასამართლოს საშუალებით შეძლონ. აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში რუსეთის სავარაუდო ჩარევის საქმეზე დონალდ მაკგანი აქტიურად თანამშრომლობდა სპეციალურ პროკურორ რობერტ მიულერთან.

უკრაინაში აშშ-ის ოთხი ელჩი სოროსის პროტექციით იყო დანიშნული

აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ადვოკატი რუდოლფ ჯულიანი მიიჩნევს, რომ უკრაინაში აშშ-ის ოთხი ელჩი ჯორჯ სოროსის პროტექციით იყო დანიშნული. რუდოლფ ჯულიანიმ თქვა, რომ ამერიკელი მილიარდერი იდგა უკრაინაში მარი იოვანოვიჩის ელჩად დანიშვნის უკან, რომელმაც თანამდებობა 2019 წლის მაისში დონალდ ტრამპის მოთხოვნის საფუძველზე დატოვა. აშშ-ის პრეზიდენტმა დიპლომატი არალოიალურ დამოკიდებულებაში დაადანაშაულა.

ჯულიანის თქმით, მისი პოზიცია ანტისემიტური არ არის, რადგან ისრაელს მხარს არ უჭერს და პირიქით, სოროსი ისრაელის მტერია. აშშ-ის პრეზიდენტის ადვოკატმა ჟურნალის კითხვებს უკრაინიდან დაბრუნების შემდეგ უპასუხა, სადაც შეაგროვა ინფორმაცია, რაც დემოკრატების მიუკერძოებლობას კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს. „დემოკრატიული პარტია“ ტრამპის იმპიჩმენტს ითხოვს.



„ვაქებ ჭკუასა ბრძენთასა...“

ქალებზე

ყოველ ქალს ძალუძს კაცის გატუტუცება, თუკი უნდა და თუ კაცს უყვარს, მაგრამ მე პირადად მეჩვენება, რომ ამისთანა ქალი დედის გაჩენილი არ არის. უბრალოდ, დინამო-მანქანამ შობა.

* * *

99 შემთხვევაში ქალები ტუტუცურად იქცევიან, ხოლო მეასე შემთხვევაში აღმოჩნდებიან ხოლმე კაცებზე ეშმაკები.

* * *

ქალი არცროდის ისე ხნიერად არ გრძნობს თავს, რომ უკვე ჩამოწერილია და ვნებიანად ზედ აღარავინ უყურებს.

* * *

თითქოს ქალს შეეძლოს არამზადის სათნოების გზაზე შეყენება, ყოველ დროში ქალის ერთ-ერთი ყოვლის უფრო ნანინანატრი ილუზიაა.

* * *

მეტისმეტად გულსატკენი და საწყენია, რომ ჯერეთ კიდევ როდის თავი ბრძნულად გამოვიცხადეთ სუსტ სქესად და ახლა პირველყოფილ ქალთ გავუთანაბრდით, მთელი დღე მინდვრად ჭაპანწყვეტაში რომ იყვნენ, ანდა კარგა გრძელ გზას გადიოდნენ საწვავად გამოსადეგი ცერცვეკილას ძებნაში, თანაც თავზე სახლიდან წამოღებული მძიმე ტვირთი რამ ედგათ, ეს მაშინ, როცა წინ ჩინებულნი ულაყნი მინავარდობდნენ სალთად, არც ბარგი რამ არ ეკიდათ, თავიანთ ქალთა დასაცავი სასიკვდილო იარაღის გარდა.

* * *

ქალის გულის მოგება ძნელია. ვთქვათ, ჩვენ ორსავე ორი დაბეგვილი ცხვრის ხორცი მოგვიტანეს, არაფერი, მშვიდად ვუსხედვართ ტაბლას. ხოლო ორისთვის სამი თავი კერძი უკვე აგვრევს.

* * *

ქალებს, რასაკვირველია, უყვართ დამორჩილება, ოღონდ გახსოვდეთ: ისინი ორგანულად ვერ იტანენ, როცა იმათი მსხვერპლი ჯეროვნად არ ფასდება.

* * *

ქალი კაცისთვის რასმე რომ ნიშნავდეს, ის ან კეთილი უნდა იყვეს ან გონიერი.

* * *

ჩვენ, ქალები, ნამდვილად ტუტუცურად მოვიქეცით: ავღრიალდით, კაცების თანასწორად გვამუშავეთო. კაცები კმაყოფილებით ჩაეჭიდნენ ამ იდეას. ცოლს რა ჩვენი დაცვა უნდაო? რა არის ცუდი იმაში, თუ თვითონ დაიცავენ თავიანთ თავსო? მით უმეტეს, თუ თავად უნდათო, ანაბრე იმათ საქმეს, ღმერთმა ხელი მოუმართოთო.

* * *

რა ბედნიერებაა, რომ მყოფადის გაჩხრეკვა, იქ შეჭვრეტა არ შეგვიძლია! სხვაგვარად ჩემს თავს ოცდათხუთმეტი წლისას დავინახავდი, რომელსაც კარგი დიდი, ფუმფულა, მაგრამ ვაი, რომ ძველმოდური ძუძუ-მკერდი მექნებოდა, მოდა ამჟამად მოითხოვს ფიცარსავით ბრტყელგულმკერდიან ქალთა სილუეტად მოხაზვას, თუ ძუძუ-მკერდი მაინც ძალიან გაეზრდებოდა, ქალს ყველა ღონე უნდა ეხმარა და ისე შემოეჭირა ზედ რამე, რომ როგორმე დაეფარა და დიდად აღარ გამოსჩენოდა.

* * *

ქალები არცროდის კეთილნი არ არიან, თუმცა, ხანისად უჩვეულოდ განაზდებიან ხოლმე.

* * *

პირდაპირ საკვირველია, რა უხალისოდ იშორებენ ქალები ისეთ წვრილმან რასმეს, რაც თვითონ იმათვე უტეხს სახელს.

* * *

ქალს არცრა სიამოვნებას ისე არა ჰგვრის, როგორც ყოველივე იმის კეთება, რაც თავად არ მოსწონს, არ ეთანიერება, მაგრამ, ვინც თვითონ მოსწონს, იმის გულისთვის და რაც უფრო თავნება და თავის ნათქვამაა, მით უფრო კმაყოფილია.

* * *

ქალებს არ უყვართ უნებისყოფო, სუსტი ხასიათის კაცები.

* * *

მთელ ინგლისში ვერც ერთი მაძებარი ვერ შეედრება გაურკვეველი ასაკის უქმრო დამას, რომელსაც უამრავი, უდანდარი დრო აქვს.

* * *

უკეთუ ქალი უბედურია, არაერთი ყოვლის უფრო საშინელი, საზარელი რისამე ჩადენა შეუძლია.

* * *

სამართლიანი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ვიქტორიანული ხანის ქალების წინაშე კაცები თითის წვერებზე დადიოდნენ, სუსტი, ნაზი და მგრძნობიარენი მუდმივად საჭიროებდნენ დაცვასა და ზრუნვას და განა დამცირებულნი, გათელილნი იყვნენ და მონური წესითა და რიგით ცხოვრობდნენ? ჩემი მოგონებანი სრულიად სხვას მეუბნებიან, ბებიაჩემის დაქალები სიცოცხლის იშვიათი სიყვარულით განირჩეოდნენ და უცილობლად წარემატებოდნენ თავიანთ სუყოველ წამოწყებაში, რამეთუ ჯიუტად ასრულებდნენ ჩანაფიქრთ, თვითრჯულნი, უაღრესად ნაკითხნი და ყველა საქმეში ჩახედულნი იყვნენ.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №244-255

წარმოიდგინეთ, გაღმერთებულნი ჰყავდათ თავიანთი კაცები. გულუბრყვილოდ მიიჩნევდნენ საოცარ ყმაწვილკაცებად – დარდიმანდებს და მუსუსებს. ყოველდღიურ ცხოვრებაში ქალები იმას შვრებოდნენ, რაც უნდოდათ, თანაც ისე იქცეოდნენ, ვითომ სრულად აღიარებდნენ კაცურ უპირატესობას, რათა ქმრებმა სახე არ დაჰკარგონ.

* * *

ქალი რომ თხოვდება, სრულიად სხვა გარემოში ხვდება. ცხოვრება თავიდან უნდა დაიწყოს, გაიჩინოს ახალი ნაცნობები და მეგობრები, ახალ საქმეს რასმე უნდა მოეკიდოს.

* * *

ქალები ჩვეულებრივ უფრო ზედაპირულად აზროვნებენ, ვიდრე კაცები.

* * *

როცა ქალები შეყვარებულნი არიან, ჩვეულებრივზე ათჯერ უკეთესად გამოიყურებიან: თვალები უბრწყინავთ, ლოყებზე ალმური ასდით, თმა უჩვეულოდ უბზინავთ, უფრო გონებამახვილნი ხდებიან და ყურადღებასაც მეტს იქცევენ. დიდი ხნის ნაცნობი კაცები სულ სხვა თვალით უწყებენ ცქერას.

* * *

ვერც როდისმე გაიგებ, რატომ მოსწონთ ქალებს კაცები. ქალები მეტ-ნაკლებად გულუბრყვილონი არიან, რაც გინდა, იმას დაიჯერებს.

* * *

ვფიქრობ, ქალები სუყოველ შეხვედრილ კაცს ისე უყურებენ, როგორც შესაძლო ქმარს. არა მჯერა ქალისგან კაცის წამზე, პირველი შეხედვისთანავე შეყვარება, იმ კაცის შეყვარება, რომელსაც საზოგადოებაში ეცნობა. მით უმეტეს, რომ კაცები ჩვეულებრივ მეგობარ ქალთან ერთად მოდიან.

* * *

უკეთუ არ მოგწონს, არ იზიარებ იმ კაცის ცხოვრების წესს, ვის ცოლადაც გაყოლას ეპირები, შეეშვი, სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, ნუ გაჰყვები.

* * *

მისის ვანდერლინი ამერიკელია, უკვე სამი ქმარი ჰყავდა: იტალიელი, გერმანელი და ფრანგი. იმათი წყალობით სამივე ქვეყანაში გააბა სარგებლიანი ნაცნობობა, ხელგაშლილი ცხოვრობს, და არცრა ცნობილია იმის შემოსავლების წყაროზე, მოკლედ, მისის ვანდერლინი გამოსადეგი ქალია... ნუ დავაზუსტებთ, ვისთვის. უბრალოდ, ვიტყვით – ევროპული სახელმწიფოსთვის, იქნებ რამდენიმესთვისაც კი.

* * *

თუ ქალიშვილი შეშინებულია, ეგრევე გულზე იტაცებს ხელს, ანდა თითებს ტუჩებზე მიიჭერს, არ ვიკივლოო, ხოლო ხელები თმისკენ თუ წაიღო, ცხადია, ვარცხნილობის გასწორება უნდა.

* * *

უბრალოდ მაშინებს, რას კითხულობენ თანამედროვე ქალიშვილები, თანაც ისეთ სახეს იღებენ, ვითომ სიამოვნებენ.

* * *

ახალგაზრდა ქალი საშინელ უხერხულობას გრძნობს, როცა მორიგი შეტევის გამო ავტობუსიდან სასწრაფოდ გადმოსვლა უხდება, რომელ ავტობუსშიც ეს-ეს არის, რის ვაი-ვაგლახით შეიჭედა, და ეგრევე მოფარებულ ადგილს რასმე ეძებს... ყველა მიხვდა, რომ ქალი ორსულად იყო და გუნებანაქცევს პირღებინება ეწყებოდა.

* * *

რა საოცარია ისეთ ქალად ყოფნა, რომელსაც ყოველი ემორჩილება. როგორც კი რასმე მოინდომებს, უმალ უსრულდება, თანაც უნდომანდოდ კი არა, არც კიდევ ჯოხის შიშით, ბუნებრივად, თითქოსდა ასეც უნდა ყოფილიყო.

ბავშვებზე

არცრა ოდნავადაც არ არის საეჭვო, რომ პატარა ბავშვის თვალსაზრისით ბიბლიური ამბები ყოვლის უფრო საუკეთესო ზღაპრებია მსოფლიოში. არც ერთ იმათგანს არ აკლია დრამატული სიმძაფრე, რაც აგრერიგად სწყურია ბავშვურ წარმოსახვას: იოსები თავის უზნეო ძმებთან ერთად, იოსების ფერადი სამოსელი, ეგვიპტეში იმისივე გამეორეკაცება და ზნედაცემულ ძმათა შენდობის დრამატული დასასრული. მოსე და ცეცხლმოდებული ბუჩქნარი კიდევ ერთი საყვარელი ზღაპარია, თუ არაფერს ვიტყვით დავითისა და გოლიათის უცილოდ მიმზიდველ თქმულებაზე.

* * *

ბარშემო რაც ხდება, ბავშვი გამჭრიახი თვალით აფასებს, ზუსტად განსჯის ამა თუ იმ ხასიათს, ოღონდ სრულად გაგებისგან უსხლტება როგორც ცნება „როგორ“, ისე „რატომ“. ფართოდ გავრცელებული იდეა, თითქოს ბავშვი ადვილად გულმავიწყობდეს, ზუსტი არ არის. ბევრი ადამიანი მთელი ცხოვრება იმ იდეის ტყვეობაშია, ჯერ კიდევ პატარაობაში რომ გაუშთაბეჭდილებიანებია.

* * *

მართლაც რატომ უყვართ ბავშვებს ზღაპრები დათვებზე, მგლებსა და კუდიანებზე? იქნებ ეს ამბოხია ნამეტანი ბედკეთილი ცხოვრების წინააღმდეგ? იქნებ ადამიანს ერთგვარი ხიფათისა თუ საშიშროების შეგრძნება ეჭირვება? იქნებ ბავშვთა დანაშაულობა თანამედროვე სამყაროში თავის წარმოშობას მეტისმეტად ბედნიერ საზოგადოებას უნდა უმადლოდეს? ადამიანს ხომ არ უნდა რაღაცასთან ბრძოლა, მოწინააღმდეგის დამარცხება და საკუთარი თავისთვის, თავისივე ძალის დამტკიცება? თუ „წითელქუდადან“ რუხ მგელს ამოვიღებდით, ეს განა რომელსამე ბავშვს მოეწონებოდა?

* * *

ბავშვისთვის სამყარო ის არის, რაც იმის გარშემო ხდება, რაც იმას მოსდის. მაშასადამე, ამ სამყაროში ადამიანები ორ ნაწილად იყოფიან – ერთნი ისინი არიან, ვინც ბავშვს მოსწონს ან ეჯავრება, მეორენი კი – ვინც აბედნიერებს ანდა აუბედურებს.

უკეთუ ამჟამინდელ ბავშვად ვიქცეოდი, ყოვლის უფრო ძლიერ შინამოსამსახურეთ მოვინატრებდი. ბავშვის ყოველდღიურ ცხოვრებაში იმათ, თქმა არ უნდა, ყველაზე მაძღარი, მკვეთრი ფერები შეაქვთ. ძიძები საყოველთაოდ ცნობილ ჭეშმარიტებებს აწვდიდნენ, შინამოსამსახურენი – დრამატულ კოლიზიებს და სხვა დანარჩენ აუცილებელ, მაგრამ ძალზე საგულისყურო ცხოვრებისეულ საცნაურსა თუ ცოდნას.

* * *

ვფიქრობ, იმის გამო, რომ ბავშვების უმრავლესობა ახლა ძალიან ადრე იწყებს სკოლაში სიარულს და ცხოვრება მოწესრიგებული აქვთ, სრულებით არ იციან, რა ქნან, სად უნდა წავიდნენ არდადეგებზე, სასოწარკვეთილნი იწყენენ.

* * *

უკეთუ ბავშვი მშობლების მოლოდინს ვერ ამართლებს, ის დანაშაულის გრძნობით ცხოვრობს.

გარშემო მყოფთ მტკიცედ სჯერათ, რომ ყოველივე მხოლოდ ხელსაყრელ გარემოებათა დამთხვევის ამბავია და სულაც არ არის ბუნებრივ მიდრეკილებაზე დამოკიდებული.

(გაგრძელება იძნება)

„ვისაც ნაღდად არცროდის არ ჰყვარებია, იმას არცროდის ნაღდად არ უცხოვრია“

– ასე ამბობდა ოდესღაც ქრისტი

ქართულად გადმოაქენა გურამ გოგიაშვილმა

დუბაიდან ჩვენს ბედოვლათობამდე!..

საძართველოს პოლიტიკური ცხოვრება ფაუნით მდიდარ აფრიკის ქვეყნებს გვაგონებს – მტაცებელი ცხოველების მიერ ნადავლის წაგლეჯისთვის სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირებით.

ისტორიას ბარდება 2019 წელი – ნანატრი მშვიდობით მაგრამ, დიდი სკანდალებით, პოლიტიკური დაპირისპირებებით, ურთიერთუნდობლობით, სიღარიბით, თვითმკვლელობებით, კრიმინალით გამორჩეული წელი.

2018 წლის მსგავსად, 2019 წელსაც გამუდმებით ვისმენდით იმ საამური ყოფის შესახებ – ჩვენში რომ დასადგურებულა, მაგრამ ახლომხედველობის გამო ვერ დაგვინახავს. მიმავალი წელი გულწრფელი აღიარების წლადაც შეიძლება ჩაითვალოს. სწორედ წელს აღგვითქვეს დახმარება უცხოეთში უკეთესი ცხოვრების მოსაწყობად გამგზავრებაში. რა გაეწყობა, როგორც იტყვიან: „უთევზობისას კიბორჩხალაც თევზია“.

დაუვიწყარია რუსეთის დუმის წევრის გავრილოვის სახელი და მასთან დაკავშირებული „სახელმწიფო გადატრიალების“ მცდელობა. ასეთ ფორმულირებას აძლევს ოპოზიცია პატივცემული დუმელის საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში ჩაჯდომას.

„როგორ გაბედა აგრესორი, ოკუპანტი ქვეყნის კომუნისტმა გავრილოვმა „წმიდა“ სავარძლის წაბილწვაო“ – გაჰკიოდა ოპოზიცია, თითქოს ამ სავარძელს მუდამ „წმიდა“ საჯდომები სტუმრობდნენ.

ოპოზიციის ერთ-ერთი „თვალსაჩინო“ წარმომადგენელი (მაინც რამდენი ასეთი ჰყავს ოპოზიციას!) ტელეკომპანია „კავკასიის“ ეთერიდან „გვიმტკიცებდა“, თავისი თვალით ნანახი, რუსეთისთვის საქართველოს ჩაბარების „ტრაქტატის“ თაობაზე, რომლის ავტორი რუსი ოლიგარქი ივანიშვილია.

ოპოზიციის მსგავსად, ხელისუფლებაც იგივე შეფასებას (სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა) აძლევს 20-21 ივნისის მოვლენებს.

დიახ, როცა ხელკეტებით შეიარაღებული მომიტინგეები, ანტისახელისუფლებო მოწოდებებით პარლამენტის შენობაში შესაჭრელად შეასკდება პოლიციას, სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა უფროა, ვიდრე უცხოელი ტურისტების მსგავსად შენობის დათვალიერების სურვილი...

2019 წლის მოვლენათა შორის 20 ივნისი ყველაზე გამორჩეული იყო. ჩვენდა საბედნიეროდ, ოპოზიციისა და მისი ოკეანისგადაღმელი დამრიგებლების მიერ ერთობლივად ჩატარებული „ღონისძიება“ არაერთხელ შეგვახსენებს თავს დამდეგ 2020 წელს და მომდევნო წლებშიც, თავისი ნეგატიურობით, მეზობელ რუსეთთან ისედაც დაძაბული ურთიერთობების კიდევ უფრო დამძიმებით.

20 ივნისის „ღონისძიებამ“ წერტილი დაუსვა (უნდა ვიმედოვნოთ დროებით) „ოცნების“ მიერ გადადგმულ შიშნარევ ნაბიჯს, რუსეთთან დამოკიდებულების დასალაგებლად. 20-მა ივნისმა სერიოზული დარტყმა აგემა საქართველოს ეკონომიკას, ტურიზმს, სატრანსპორტო კომუნიკაციას. 20-მა ივნისმა დაგვანახვა რუსეთზე საქართველოს ეკონომიკის დამოკიდებულების სერიოზულობა.

20 ივნისის ამბოხის დასრულების შემდეგ, ოპოზიციას აქტიურობა არ შეუნელებია, პირიქით, მისთვის ჩვეულ რითმში გაგრძელა ხელისუფლების ლანძღვა, რუსეთთან მისი „მჭიდრო კავშირების გამომზეურება“. ოპოზიცია-ხელისუფლების მწვავე დაპირისპირებას დასავლელი ექსპერტები, პოლიტიკოსებიც არ აკლებენ ხელს.

მაგალითად, თბილისში გამართული პარლამენტთაშორისო ასამბლეის Euronest-ის სესიაზე ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტის ანდრიუს კუბილიუსის განცხადებაც კმარა: „მმართველი პარტია გარკვეულწილად პასუხისმგებელია ივნის-ივლისში საზოგადოებისთვის მიცემული დაპირების შეუსრულებლობაში. ეს, არ არის კარგი გადაწყვეტილება, ვინაიდან იწვევს ხალხში და ევროკავშირის საქართველოს მეგობრებში უნდობლობას. ორივე მხარეს ვუსურვებ, განსაკუთრებით მმართველ პარტიას, შეათანხმონ სამომავლო ნაბიჯები, რათა უზრუნველყონ დიდი პროპორციული საარჩევნო სისტემა მომავალი წლის არჩევნებში“.

ცნობისთვის: 20 ივნისს ოპოზიციის და მისი დასავლელი დამრიგებლების მიერ, პარლამენტის შენობის წინ გამართულ ანტისამთავრობო მიტინგს – გამოწვეულს საერთაშორისო მართლმადიდებელი საპარლამენტო ასამბლეის პარლამენტის სხდომათა დარბაზში ჩატარებით და ასამბლეის თავმჯდომარის, რუსეთის დუმის წევრის გავრილოვის, პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში ჩაჯდომით, მოჰყვა მმართველი „ოცნების“ პარტიის თავმჯდომარის ბიძინა ივანიშვილის შეპირება 2020 წლის არჩევნების მხოლოდ პროპორციული სისტემით ჩატარების შესახებ, რაც მოგვიანებით საკუთარი იმიჯის დამცველმა მაჟორიტარებმა უარყვეს!

დასავლელთა პოზიცია 2020 წლის არჩევნების ჩატარებისადმი ისეთია, როგორიც ოპოზიციის, რაც ხელისუფლებას ერთობ არასახარბიელო პირობებს უქმნის. ოპოზიცია მიიჩნევს, რომ პროპორციული არჩევნების ჩატარების შემთხვევაში ის საკმაო საპარლამენტო მანდატებს მოიპოვებს, რითაც „ოცნებას“ დააკარგვინებს ერთმმართველობის შანსს.

გარდა იმისა, რომ დასავლეთს საკუთარი მიზნები აქვს ამ არჩევნებთან დაკავშირებით, მის განწყობას აღვივებს ოპოზიციის დასმენები „პრორუსული“ ხელისუფლებისა და კრემლის „აგენტის“ ივანიშვილის შესახებ, რაც ევროატლანტიკური საბჭოს წევრი ქვეყნებისთვის წინ წითელი ნაჭრის აფრიალების ტოლფასია.

მმართველი „ოცნება“ და გაერთიანებული ოპოზიცია საგარეო ვექტორში რომ იდენტურია, ეჭვის შეტანა ძნელია. ორივესთვის მზე ვაშინგტონიდან ამოდის, რაც არ არის გასაკვირი, ვინაიდან ორივენი ამერიკელთა გაწვრთნილებია, იქაური წყალი აქვთ დალეული. ორივენი ზედმიწევნით ცდილობენ, პირნათლად შეასრულონ დასავლელთა დავალება – რუსეთის საზიზღარ მტრად წარმოჩენა. ორივე ერთმანეთს რუსოფილობას აბრალებს დამრიგებელთა თვალში მეტი სანდოობის მოსაპოვებლად, მაგრამ ამ „კეთილშობილურ“ ქმედებაში „ნაცმოძრაობა“ და „ევროპული საქართველო“ გაცილებით წარმატებულია, ვიდრე „ოცნება“, ვინაიდან მათ მიერ შერჩეული საგინებელი თემა – ივანიშვილის „პრორუსულობა“ და კრემლის აგენტობა დასავლეთისთვის საყურადღებოა.

ის, რომ ივანიშვილი გასული საუკუნის 90-იანი წლების გარიჟრაჟზე რუსეთში ბიზნესმენობდა, სულაც არ ნიშნავს მის კავშირებს რუსეთის დღევანდელ ხელისუფლებასთან, მით უმეტეს პუტინთან, მაგრამ რახან სიტყვა „რუსეთი“ ფიგურირებს, დასავლეთის ზოგიერთ კორუმპირებულ ექსპერტს ეჭვი უძლიერდება.

ზემოთ კუბილიუსის ნათქვამში ხაზგასმითაა აღნიშნული მმართველი პარტიის მიერ დაპირების შეუსრულებლობა, რაც უნდობლობას იწვევს ხალხში და ევროკავშირელ მეგობრებში. „ხალხი“ ამ შემთხვევაში ყასიდად არის ნახსენები – დემოკრატიულობის გამოსახატავად, თორემ სინამდვილეში მას არვინ არაფერს არ ეკითხება. აი, რაც შეეხება ევროკავშირელ „მეგობრებს“, ისინი შეწუხებული არიან, ვაითუ „ოცნებამ“ რუსეთისკენ მართლა გაიხედოსო.

ისე, კაცმა რომ თქვას, მრავალწლიანი ტყუილი დაპირებების შემდეგ, იმედგაცრუებულმა საქართველომ დასავლეთის ნაცვლად მზე ისევ ჩრდილოეთიდან რომ ამოიყვანოს, რა გასაკვირია?

აი, თუნდაც ნახსენები „ევრონესტის“ სესია, რომელსაც მასპინძლებთან ერთად სომხეთის, აზერბაიჯანის, მოლდოვას, უკრაინის დელეგაციებიც ესწრებოდნენ, ნათელი მაგალითია ტყუილი დაპირებებისა. საქართველოს საზოგადოებას ისეთი ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს ამ ორგანიზაციის რაობაზე, როგორიც პროპორციული საარჩევნო სისტემის „უპირატესობაზე“...

ეს ამორფული ორგანიზაცია 10 წლის წინათ შეიქმნა – რუსეთის გავლენის სფეროდან ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნების „გამოსახსნელად“ და ევროკავშირთან ინტეგრაციისთვის, რამაც ჩვენ ევროკავშირში შესვლის იმედი გაგვიჩინა. როგორც ჩანს ჩვენი და მათი გეგმები ერთმანეთს არ ემთხვევა, ვინაიდან ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებას და ჩვენს საზეიმო განწყობას, რომელსაც ლაიტმოტივად ცეკვა „შალახოს“ ჰანგები გასდევდა, გაწევრების წინაპირობად ვერ ჩაითვლება.

ასე, რომ „ევრონესტი“ დემოკრატიულმა დასავლეთმა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მოსატყუებლად მოიგონა, რომ მოსკოვისკენ არ გაეხედათ და ევროკავშირის კარის ზღურბლთან დააბა – გაწევრების ყოველგვარი დაპირების გარეშე, ნატოსგან განსხვავებით, რომელიც იმას მაინც დაგვპირდა – თქვენთვის კარი ღიაა!

ჩამოთვლილი ქვეყნებიდან სომხეთს, რომელიც „ევრაზესის“ და „დსთ“-ს წევრია, ნაკლებად აინტერესებს ევროკავშირის გადმოგდებული კამფეტები, ისე, როგორც აზერბაიჯანს – ეკონომიკური და სხვა პარამეტრებით ყველაზე ძლიერს ამიერკავკასიაში. მოლდოვას, რომელმაც, ფაქტობრივად გარდაქმნა დასავლეთთან ურთიერთობა და ისევ მოსკოვისკენ გაიხედა. მხოლოდ ჩვენ და უკრაინა დავრჩით ევროკავშირ-ნატოს მიმართულებით ყელმოღერებულები და მიუხედავად იქ გაწევრების ნულის სადარი პერსპექტივისა, მაინც ჯიუტად ვიმეორებთ ჩვენს „ევროპელობას“.

ახლახან, არაბული საამიროებიდან ერთერთ ვარსკვლავზე, დუბაიზე გადაღებულმა ვიდეოფილმმა სინანული გამოიჩინა საკუთარი ქვეყნის მიმართ. მაინც რა ძალამ, გონებამ, ენერგიამ, შემართებამ შექმნა ეს სასწაული – 50 წლის წინათ, რომ ყვითელი სილის უდაბნო იყო. უწყლობაში აბიბინებული ბაღები და სკვერები, ზღვაში შეჭრილი ხელოვნური კუნძულები ულტრათანამედროვე შენობა-ნაგებობებით, სუპერ-მარკეტებით, სპორტული მოედნებითა და გასართობი ცენტრებით, 50-გრადუსიან პაპანაქება სიცხეში ზამთრის დახურული, უზარმაზარი დარბაზებით, ხელოვნური თოვლითა და საციგურაო მოედნებით, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრებით, ტურისტული უბნებით – მრავალსართულიანი ხუთვარსკვლავიანი სასტუმროებით...

და ყოველივე ეს ნახევარ საუკუნის განმავლობაში – მცირერიცხოვანი მოსახლეობის მიერ შექმნილი.

ჩვენ რა დაგვემართა – ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას, ევროპაში დაბრუნებულს, დიდი ისტორიისა და კულტურის მქონეს – 30 წლის განმავლობაში რომ წინ წასასვლელი სერიოზული ნაბიჯიც ვერ გადავდგით, მოჩვენებითი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ლოზუნგს ამოფარებულებმა, პოზიცია-ოპოზიციის 240-ზე მეტი პარტიის მუდმივ დაპირისპირებაში, კინკლაობაში და თავ-პირის მტრევაში, უქმად რომ განვლეთ სანუკვარი წლები?

დუბაი ერთადერთი არ არის, საამიროების დანარჩენი 4 პატარა ქვეყანაც ასეთია. მათ ევროპელობის სურვილიც არასოდეს გასჩენიათ. პირიქით, ევროპელებს აქვთ სურვილი იქ ცხოვრებისა...

მოდით, ვინატროთ კავკასიელობა, ქართველობა, ყველამ ერთად ქართული საქმე ვაკეთოთ და ამ გზით ვიაროთ დამდეგ და მომდევნო წლებშიც!

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

საქართველო მამაცი სახელმწიფოებრივი მმართველობით და პოლიტიკური მოქნილობის წყალობით უმკლავდება სირთულეებს

გავლენიანი ამერიკული გამოცემა The Washington Times საქართველოს შესახებ ვრცელ სტატიას აქვეყნებს. სტატიაში სათაურით „საქართველო გზაგასაყარზე“, საუბარია საქართველოს სტრატეგიულ გეოგრაფიულ ადგილმდებარეობაზე, რომელსაც საკვანძო მნიშვნელობა ენიჭება შავი ზღვის, ევროპისა და აზიის ქვეყნებისთვის.

სტატიაში საუბარია რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციაზე და დამპყრობლურ პოლიტიკაზე. თუმცა, ამის მიუხედავად საქართველოს მუდმივ სწრაფვაზე ევროპული ღირებულებებისკენ, როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური რეფორმების გზით. აღნიშნულია, რომ ამერიკა საქართველოს მუდმივი მხარდამჭერი და საყრდენი ძალაა. ნათქვამია, რომ საქართველო არის ერთ-ერთი ყველაზე პროამერიკული და დემოკრატიული სახელმწიფო აღმოსავლეთ ევროპაში. ამის არგუმენტად წარმოდგენილია 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნები, რა დროსაც მშვიდობიანად მოხდა მმართველობის გადაბარება.

ასევე გამახვილდა ყურადღება, ბოლო დროს არსებულ საარჩევნო სისტემის ცვლილებებზე. კერძოდ, საუბარია ხელისუფლების ინიციატივაზე და მათ არშესრულებაზე, რამაც მასშტაბური აქციები და საპროტესტო მსვლელობები გამოიწვია.

აღნიშნულია, რომ გიორგი გახარიას პრემიერობის პერიოდში ქვეყნის ეკონომიკური კურსი გაძლიერებაზეა ორიენტირებული. რაც მასშტაბურ რეფორმებს მოიცავს, პირდაპირი ინვესტიციების შემოდინების სახით. მნიშვნელოვან თარიღად 2020 წელია აღნიშნული, რადგან ქვეყანაში დაგეგმილია საპარლამენტო არჩევნები.

სტატიის ბოლოს ხაზგასმულია აშშ-სა და საქართველოს ერთობლივი მიღწევები. სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ქართველი ჯარისკაცების ავღანეთში ყოფნას ეთმობა. რაც კიდევ ერთი დასტურია, რომ საქართველო ნატოსთან სამეკავშირეო აქტივობებს ახორციელებს. ავტორის თქმით, მიუხედავად აგრესორი ქვეყნის ქმედებების და მსოფლიოში არსებული დღის წესრიგისა, საქართველოს მამაცი სახელმწიფოებრივი მმართველობა და პოლიტიკური მოქნილობა ეხმარება ქვეყანას არსებულ სირთულეებთან გამკლავებაში.

ESPERSONAGE

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს აქბარ ქაზუმოვის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** აქბარ ქაზუმოვი (პ/ნ 36001010682), საგარეჯო, ს. ზემო ლამბალო, მე-5 1 ჩიხი №2.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

საგარეჯოს რაიონი, ს. იორმუღანლო (საკადასტრო კოდი: 55.22.54.151).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 11195.70 ლარი
3. **აუქციონის დაწყების დრო:** 2020 წლის 9 იანვარს, 15:00 საათი;
4. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11;
5. **მოვალე:** აქბარ ქაზუმოვი (პ/ნ 36001010682), საგარეჯო, ს. ზემო ლამბალო, მე-5 1 ჩიხი №2;

აბილ ქაზუმოვი (პ/ნ 36001003415), საგარეჯო, ს. იორმუღანლო.

6. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11;
7. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2020 წლის 9 იანვრის 15:00 საათამდე.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს არსენ ოვეიანის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** არსენ ოვეიანი (პ/ნ 47001011328), ახალციხე, ასპინძის ქ. №8ბ.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

ქ. ახალციხე, ახალქალაქის გზატკეცილი (საკადასტრო კოდი: 62.09.53.022).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 40876 ლარი დღგ-ის ჩათვლით (დღგ შეადგენს 5995.41 ლარს);
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2019 წლის 25 დეკემბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2020 წლის 10 იანვარი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP64253019;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 642530

6. **მოვალე:** შპს „პრესტიჟი“ (ს/ნ 424069297), ახალციხე, ასპინძის ქ. №8ბ;
   არსენ ოვეიანი (პ/ნ 47001011328), ახალციხე, ასპინძის ქ. №8ბ;
   ტიგრან ოვეიანი (პ/ნ 47001004424), ახალციხე, დ. კლდიაშვილის ქ. №27ა;
   სამველ ოვეიანი (პ/ნ 47001000924), ახალციხე, ასპინძის ქ. №8ბ.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP64253019; ლოტის ნომერი: 642530).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2020 წლის 10 იანვრის 10:00 საათამდე.

ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝᲡ ᲒᲔᲜᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲐᲖᲔ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲓᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციით წყალტუბოს გენგეგმის შემუშავებაზე კონკურსი გამოცხადდა. უწყებაში აღნიშნავენ, რომ მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაფუძნებული გეგმები აუცილებელია კურორტის ქაოტური, უსისტემო განაშენიანებისგან დაცვის, მისი იერსახის შენარჩუნება-გაუმჯობესების, სატრანსპორტო ქსელისა და ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიზნით. ამის შედეგად ქალაქი ინვესტორებისათვის უფრო საინტერესო და ტურისტულად მიმზიდველი გახდება.

„დოკუმენტაციის შემუშავების უზრუნველსაყოფად 23 დეკემბერს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ გამოაცხადა კონკურსი. საკონკურსო წინადადების მიღება 2020 წლის 22 იანვარს დაიწყება და 2020 წლის 27 იანვარს დასრულდება“, – აღნიშნულია სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში. ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავება უნდა განახორციელოს გამარჯვებულმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 240 დღის ვადაში.

ᲒᲐᲠᲓᲐᲑᲐᲜᲨᲘ ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲗᲑᲝᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲡᲐᲢᲔᲡᲢᲝ ᲠᲔᲟᲘᲛᲨᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ

„ᲒᲐᲠᲓᲐᲑᲐᲜᲘᲡ თბოელექტროსადგური-2“ საცდელი გაშვებისა და კომპლექსური გასინჯვის რეჟიმში უკვე აწვდის ელექტროენერგიას საქართველოს ერთიან ენერგოსისტემას. კომბინირებული ციკლის, თანამედროვე, უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი, 230 მგვტ დადგმული სიმძლავრის მქონე თბოელექტროსადგურის მშენებლობაში საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ 180 მილიონამდე აშშ დოლარის ინვესტიცია განახორციელა. მისი სამშენებლო ფაზა 2018 წლის თებერვლიდან 2019 წლის დეკემბრამდე გრძელდებოდა და ელექტროენერგიის გენერაციას 2020 წლის ზამთრის სეზონისათვის სრული მოცულობით უზრუნველყოფს.

პირველად საქართველოში ახალი თბოელექტროსადგური აღჭურვილია ე.წ. ნულიდან გაშვების ფუნქციით, რაც ქვეყნის ელექტროსისტემაში საგანგებო მდგომარეობის დროს ქსელში ელექტროენერგიის პირველად მიწოდებას და მთელი სისტემის ნულიდან აღდგენას გულისხმობს. კომბინირებული ციკლის ახალი ენერგო-ეფექტური თბოელექტროსადგური თითქმის ორჯერ უფრო ნაკლებ გაზს მოიხმარს და უფრო ეკონომიური იქნება, ვიდრე საქართველოში ბუნებრივ აირზე მომუშავე ძველი ენერგობლოკები. გარდაბნის თბოელექტროსადგური აღჭურვილია თანამედროვე ტიპის „ჯენერალ ელექტრიკის“ (GE-Power) გაზისა და ორთქლის ტურბინებით და გენერატორებით. აღნიშნული კომპანია ლიდერია მსოფლიოს მასშტაბით მოცემული დანადგარების წარმოებაში და გამოირჩევა ენერგოეფექტურობისა და ხარისხის მაღალი სტანდარტით.

ᲨᲣᲐᲮᲔᲕᲨᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲮᲘᲓᲘ ᲐᲨᲔᲜᲓᲐ

ᲐᲮᲐᲚᲘ ხიდი სამ სოფელს – დაბაძველს, კლდის უბანსა და ბესელაშვილებს ცენტრალურ გზასთან აკავშირებს. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის პრესსამსახურის ინფორმაციით ხიდით 140 ოჯახი ისარგებლებს.

მოასფალტდა ასევე ცენტრალური ავტომაგისტრალიდან ხიდამდე მისასვლელი გზაც. გარდა ამისა, შუახევში დასრულდა საავტომობილო ხიჭაური-ახალდაბის და ახალდაბა-წყაროთის გზის მონაკვეთებზე ასფალტობეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები. ახალი გზით 300-მდე ოჯახი ისარგებლებს. პროექტის ფარგლებში მოეწყო 11 975 კვ.მ. ასფალტობეტონის საფარი და დამცავი ხელოვნური ნაგებობა. ახალი ხიდი აშენდა ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ქოსოფელშიც.

ᲜᲣᲨᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲙᲚᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝ

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიჩბისში ნუშისა და კაკლის გადამმუშავებელი საწარმო აშენდება, რომელიც თანამედროვე სტანდარტის შესაბამისად იქნება მოწყობილი.

ეკონომიკის სამინისტროს ქონების მართვის სააგენტოს ინფორმაციით, ამ მიზნით მილიონ 540 ათასი ლარის ინვესტიციის განხორციელება იგეგმება.

საწარმოს ასაშენებლად, შპს „ჯი ი ინვესტმენტ კორპს“ ეკონომიკის სამინისტროს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსგან სოფელ ნიჩბისში მდებარე 91 094 კვ.მ მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობა ერთ ლარად გადაეცა. სააგენტოს ცნობით, კომპანია ნედლეულს ადგილობრივი მოსახლეობისგან ჩაიბარებს.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲐᲔᲠᲝ�პᲝᲠᲢᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲢᲔᲠᲛᲘᲜᲐᲚᲘ ᲔᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲘᲒᲔᲒᲛᲔᲑᲐ ფრენების რაოდენობის გაზრდაც, რაც რეგიონში ტურისტების ნაკადის ზრდას შეუწყობს ხელს. ამის შესახებ შეხვედრაზე ითქვა, რომელიც იმერეთის გუბერნატორმა, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა და იმერეთის ტურიზმის სამსახურის უფროსმა მუნიციპალიტეტის მერებთან გამართეს.

შეხვედრაზე ასევე განიხილეს 2019 წელს განხორციელებული პროექტები და მომდევნო წლის გეგმებზე.

◎ კალათბურთი

თუ თავი არ გვქონდა...

თბილისში ახალი სპორტის სასახლე, რომელსაც ევრობასკეტ 2021-ისთვის უნდა ემასპინძლა, აღარ აშენდება. ეს ინფორმაცია საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა პაატა გურასპაულმა დაადასტურა.

„მოგეხსენებათ, ფიბას სტანდარტების დარბაზი უნდა აშენებულიყო. ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, ხელისუფლებასთან მოლაპარაკება გვქონდა და მათი მხრიდან მზადყოფნაც იყო, თუმცა, სამწუხაროდ, დიღომში ახალი დარბაზის აშენება გამოირიცხა. მეორე, რაც ვიფიქრეთ, სპორტის სასახლის რეკონსტრუქცია იყო, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო ესეც შეუძლებელია.

ამიტომ დაგვრჩა მესამე ვარიანტი – უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის სიახლოვეს, საბურთალოს სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული ალექსანდრე ანპილოგოვის სახელობის ოლიმპიური სასახლე, რომელსაც გადავაკეთებთ და 10 ათას მაყურებელს დაიტევს. მისი რეკონსტრუქცია იანვარში დაიწყება. ჩემი აზრით, სიახლე ევრობასკეტის მოთხოვნებს დააკმაყოფილებს“, - თქვა გურასპაულმა.

შეგახსენებთ, რომ, მართალია, საქართველომ ევროპის ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის მიღების უფლება მოიპოვა, თუმცა, თუ თბილისში ფიბას შესაბამისი სტანდარტების დარბაზი არ იქნება, მასპინძლობა შესაძლოა სხვა ქვეყანას გადაეცეს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფეხბურთი

აქაც „რეალი“

უეფამ ჩემპიონთა ლიგის/თასის ყველა დროის სატურნირო ცხრილი გამოაქვეყნა. ნიშანდობლივია, რომ იგი შედგენილია არა მოგებული ტიტულების მიხედვით, არამედ, ჩვეულებრივ, ქულებს აქვს უპირატესობა მინიჭებული.

სატურნირო ცხრილის ლიდერი მადრიდის „რეალია“, რომელსაც ყველაზე მეტი მატჩი აქვს გამართული და ყველაზე მეტი ქულა, მოგება, წაგება, გატანილი და გაშვებული გოლები გამოარჩევს.

„სამეფო კლუბს“ კვალში მიუნხენის „ბაიერნი“და კატალონიის „ბარსელონა“ უდგანან, ხოლო ხუთეულში ასევე მოხვდნენ „მანჩესტერ იუნაიტედი“ და ტურინის „იუვენტუსი“.

გიორგი შოთაძე

Top 30 clubs (1955-2019)

Club	Part	Titles	Pld	W	D	L	F	A	Pts
1. Real Madrid (ESP)	50	13	437	262	76	99	971	466	600
2. Bayern (GER)	36	5	347	201	72	74	705	347	474
3. Barcelona (ESP)	30	5	316	187	72	57	629	302	446
4. Manchester United (ENG)	28	3	279	154	66	59	506	264	374
5. Juventus (ITA)	34	2	277	140	69	68	439	268	349
6. AC Milan (ITA)	28	7	249	125	64	60	416	231	314
7. Liverpool (ENG) +2	24	6	215	121	47	47	406	192	289
8. Benfica (POR) -1	39	2	239	114	59	85	416	299	287
9. Porto (POR) -1	34	2	245	110	57	78	364	276	277
10. Ajax (NED)	36	4	227	102	62	84	356	251	266

◎ ოლიმპიზმი

ვატიკანსაც მოუნდა

ვატიკანის წარმომადგენლის განცხადებით, სავსებით რეალურია მისი მონაწილეობა პარიზის 2024 წლის ოლიმპიური თამაშების მონაწილე ქვეყნების აღლუმში.

ქალაქი-სახელმწიფოს სპორტის მინისტრის, მონსინიორ მელჩორ სანჩეს დე ტოკას თქმით, „საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტთან (IOC) ჩვენი ურთიერთობები ბრწყინვალეა. ვატიკანის ოლიმპიური კომიტეტის შექმნით გვინდა, რომ ეს ურთიერთობები უფრო გამყარდეს. პროფესიული სპორტი ინდუსტრიად, უდიდეს ბაზრად გარდაიქმნა. ჩვენ ეს უნდა გავითვალისწინოთ. ხალხს უფრო მეტად იზიდავს სპორტის სანახაობრიობა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სპორტს აქვს რაღაც სულშიჩამწვდომი. მიუხედავად ამისა, ამ სფეროს ეთიკური რეგულირების კოდექსის მიღებაში უნდა დავეხმაროთ, სადაც ადამიანები ყოველთვის სპორტის შუაგულში დაიკავებენ ადგილს. ეკლესიას სპორტის ღირებულებებში ცვლილებების შეტანა შეუძლია“.

კითხვაზე, ვატიკანის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნას უნდა ველოდოთ თუ არა ახლო თუ შორეულ მომავალში, დე ტოკა პასუხობს: „ასე ვიტყოდი, სადღაც შუალედში უნდა ველოდოთ. დავიწყეთ მძლეოსნობით. მონაკოში ვეწვიეთ მსოფლიო მძლეოსნობის ფედერაციის შტაბ-ბინას და იქ ჩვენი ფედერაციის გაწევრიანებაზე ვიმსჯელეთ. თუ საერთაშორისო ფედერაციისგან აღიარებას მივიღებთ, მაშინ სხვათა შემთხვევაში საქმე გაგვიიოლდება. როდესაც სპორტის ხუთი სახეობა შესაბამის საერთაშორისო ფედერაციებში გაწევრიანდება, მაშინ შეგვეძლება ვიფიქროთ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის კონსტიტუციაზე, მის ჩამოყალიბებაზე და ერთ დღესაც ოლიმპიურ თამაშებზეც გამოვალთ“.

პარიზი-2024-ში ვატიკანის მონაწილეობასთან დაკავშირებით დე ტოკა დასძენს, რომ მისთვის ეს სავსებით რეალურად მოსჩანს.

გეჟან დოლიძე

◎ საბრძოლო ნათლობა

ბოლტის ფაქტორი



2020 წლის ოლიმპიური თამაშების უმთავრესი არენა რვაგზის ოლიმპიური ჩემპიონის, იამაიკელი უსეინ ბოლტის მონაწილეობით და საკმაოდ მასშტაბური ღონისძიებით გაიხსნა.

სარბენ ბილიკებზე გასვლის საშუალება სიმბოლურად 2020 მონაწილეს მიეცა. მათ შორის ძირითადად იაპონელი ოლიმპიური და აზიის თამაშების ჩემპიონები და პრიზიორები, ასევე სხვა ქვეყნებიდან მიწვეული პარალიმპიელი ათლეტები იყვნენ.

სარბენ ბილიკზე პირველი სტადიონის პროექტის დიზაინერი, იაპონელი არქიტექტორი კენგო კუმა წარსდგა.

ტიტულოვანი უსეინ ბოლტი ესტაფეტაში ოლიმპიელებთან და პარალიმპიელებთან ერთად მონაწილეობდა. ვარსკვლავთა შორის იაპონიის მორაგბეთა ნაკრების კაპიტანი მაიკლ ლეიჩი და ფეხბურთელი კაზუიოში მიურა იყვნენ.

განახლებულ სტადიონზე, რომელიც 2020 წელს ოლიმპიური თამაშების გახსნისა და დახურვის ცერემონიალებს, ასევე მძლეოსანთა და ფეხბურთელთა ტურნირს უმასპინძლებს. პირველი სახალხო სპორტული ღონისძიება 1 იანვარს გაიმართება, როდესაც იქ ფეხბურთში იმპერატორის თასი გათამაშდება.

კობა კობახიძე

ჯანმრთელობა

„გრიპის მორევი“ ერთ დღეში

ახლახან **მსოფლიოში სენსაციური ამბავი გავრცელდა: იაპონელმა მეცნიერებმა გრიპის წამალი შექმნეს, რომლის ერთი დოზა პაციენტს 24 საათში კურნავს.**

საქმეში ჩაუხედავი ხალხი წლების მანძილზე კითხულობდა — ნუთუ ასე ძნელია გრიპის საწინააღმდეგო ასპროცენტიანად ეფექტური წამლის შექმნა და რატომაა, რომ ჩვეულებრივი გაციების მოსარჩენად ერთი კვირა მაინცაა საჭირო, გრიპზე რომ არაფერი ვთქვათ?

— ამის გაკეთება თეორიულად კია შესაძლებელი, მაგრამ გრიპის ვირუსამდე, პრაქტიკულად, მიწვდომა ძალიან ძნელია, — აცხადებენ მედიკოსები, — თანაც ეს მარტო გრიპის ვირუსს არ ეხება. ამის მიზეზი კი ისაა, რომ **ვირუსი სულაც არ არის ცოცხალი ორგანიზმი: მას არსებობა და გამრავლება მხოლოდ ადამიანის უჯრედებში შეუძლია.** ამიტომაცაა, რომ ბაქტერიებთან შედარებით მისი განადგურება უფრო რთული საქმეა: პრეპარატმა უჯრედში ისე უნდა შეაღწიოს და ვირუსი მოსპოს, რომ თავად უჯრედი არ დააზიანოს. თანაც ეს მაშინ ხდება, როცა ვირუსი არსებითად, უკვე „ჩაშენებულია“ ადამიანის გენომში. სწორედ ამაშია ანტივირუსული პრეპარატების შექმნის გზაზე დასაძლევი მთავარი სირთულე. მეტიც, **ადრე თუ გვიან, ვირუსი მდგრადი ხდება ამა თუ იმ პრეპარატის მიმართ.**

რაც შეეხება იაპონელ მეცნიერთა მიღებულ შედეგებს, ჯერჯერობით ლაპარაკია ლაბორატორიულად მიღებულ შედეგებზე. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ქიმიკოსებმა ახალი მოლეკულა შექმნეს, ამდენად წინ ჯერ კიდევ კლინიკური გამოცდების ყველა სტადიაა გასავლელი და, რაც ყველაზე მთავარია, **საჭიროა ადამიანზე მისი ზეგავლენის დანამდვილებით შესწავლა.**

ისე კი უნდა ითქვას, რომ ცნობები სუპერვირუსის თუ სუპერმიკრობის საწინააღმდეგო წამლის შექმნის თაობაზე რეგულარულად ჩნდება, მაგრამ რა იქნება 7-8 წლის შემდეგ, რომელიც აუცილებელი გამოკვლევების ჩასატარებლადაა აუცილებელი, არავინ იცის.

ბოლო ხუთი წლის მანძილზე ახალი ანტიბიოტიკები არ გამოჩენილა, მაგრამ ანტივირუსული თერაპია კი ძალიან ინტენსიურად ვითარდება. მთავარი იდეის არსი იმაში მდგომარეობს, რომ **საჭიროა აღგზნების გარკვეული კომპონენტის, ვთქვათ, ფერმენტის, გარკვეული სტრუქტურის მოძებნა და მისი დაბლოკვა.** შემდეგ კი წამლის შექმნა უკვე დიდ სირთულეს აღარ წარმოადგენს.

ეს რაც შეეხება გრიპს, მაგრამ საინტერესოა, რატომ ვერ ხერხდება უბრალო გაციების სწრაფად განკურნება?

მწვავე რესპირატორულ-ვირუსულ ინფექციებს, რომელთაც „გაციებას“ ვეძახით, იმდენი აღმგზნები ფაქტორი აქვს, რომ ყველას საწინააღმდეგო უნივერსალური პრეპარატის შექმნა შეუძლებელია. ზოგი ვირუსი მეტად მოქმედებს სასუნთქ სისტემაზე, ზოგიც — ლიმფურ ჯირკვლებზე და ა.შ. თუმცა, სიმპტომატიკა საერთოა. თანაც ერთკვირიანი სამკურნალო პერიოდი საკმაოდ პირობითია. **სინამდვილეში, ავადმყოფობა მაშინ არ გადის, როცა ტემპერატურა იკლებს, თავის ტკივილი ნელდება და სისუსტეც ქრება: ორგანიზმს აღსადგენად გაციებით მეტი დრო სჭირდება.**

ამდენად, **ჩვეულებრივი „გაციების“ დროს არ არის საჭირო ანტიბიოტიკებითა და ვირუსების საწინააღმდეგო პრეპარატების მიღება. საწყისი სიმპტომების აღმოჩენისთანავე საჭიროა მკურნალობისთვის მამაპაპური მეთოდების გამოყენება: ბევრი სითხის მიღება, სიმშვიდე, ინჰალაცია (კანიანად მოხარშული კარტოფილის ოხშივარის სუნთქვა), ფეხებზე ცხელი წყლის აბაზანები, ასეთი მკურნალობის შედეგად „გაციება“ 3-4 დღეში გაგივლით.**

ასეთივე რჩევას იძლევიან გერმანელი მედიკოსებიც, კერძოდ, მედიცინის დოქტორი **რომან როიტმანი** ამბობს, რომ გაციების დროს საჭიროა ბევრი ლიმონიანი ჩაის დალევა და ლოგინში ჩაწოლა. გრიპთან ხუმრობა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, მიოკარდიტი, ანუ გულის კუნთის ანთება, საშინელი გართულებაა. თუკი გულის უკმარისობა წარმოგეშვათ, მაშინვე ექიმს უნდა მიმართოთ, რათა ფილტვების შეშუპება არ მოხდეს.

მოამზადა
დალი ხუნდაძემ

2020 წლიდან დასაქმების ახალი სააგენტო ამოქმედდება

ჯანდაცვის სამინისტროს სისტემაში 2020 წლის პირველი იანვრიდან დასაქმების ახალი სააგენტო ამოქმედდება. ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, სააგენტო შრომის ბაზარს მის მოთხოვნებზე მორგებულ უფრო მასშტაბურ გადამზადების პროგრამებსა და ხარისხიან მომსახურებას შესთავაზებს.

ახალი სააგენტო სამუშაოს მაძიებლებს მომავალი წლიდან უფრო მასშტაბური გადამზადების პროგრამებს შესთავაზებს, რომელთა ვადიანობაც სამ-ექვს თვეს მოიცავს. სააგენტო კერძო სექტორთან აქტიურ თანამშრომლობასაც გეგმავს.

აქამდე დასაქმება „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ ფუნქციებში შედიოდა.

დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს პრეზენტაცია გუშინ გაიმართა. ღონისძიება ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ეკატერინე ტიკარაძემ გახსნა.

სანთელი

იზო, დავით გოროზიები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნინო ემირის ასული გოგოხია

გამოსვენება: 18.XII. 14 სთ.
მისამართი: კაიროს ქ. №15 (გეოლოგების გარაჟი).

სასწრაფო დახმარების სამსახური მოსახლეობას მიმართავს

სასწრაფო დახმარების სამსახურის ინფორმაციით, ბოლო დღეების განმავლობაში საგრძნობლად იმატა გრიპის სიმპტომებით მომართვიანობამ. ბოლო ორი დღის განმავლობაში გამოძახებების მესამედზე მეტი სწორედ გრიპის და გრიპისმაგვარი ვირუსული დაავადებების მქონე პაციენტებზე მოდის.

„თხოვნით მივმართავთ მოსახლეობას — გრიპის და სხვა მწვავე რესპირატორული ინფექციებით გამოწვეული დაავადებების პირველივე სიმპტომების აღმოჩენისთანავე, გართულებების თავიდან აცილებისა და ეფექტური მკურნალობის მიზნით მიმართონ პირველადი ჯანდაცვის რგოლს: ოჯახის ექიმს, პედიატრს, თერაპევტს, რათა მოხდეს დაავადების ზუსტი დიაგნოსტირება, საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი გამოკვლევების ჩატარება, რომელთა განხორციელებაც სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმების კომპეტენციას აღემატება.

გვსურს, კიდევ ერთხელ შევახსენოთ მოსახლეობას, რომ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმების კომპეტენცია შემოიფარგლება პრეჰოსპიტალურ ეტაპზე სიცოცხლისათვის საშიში და გადაუდებელი მდგომარეობების მართვით“, — წერია სასწრაფო დახმარების სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

კვლავ გახშირდა ტყის ხანძრები

ამ დროისთვის, მთელი საქართველოს მასშტაბით ტყის ქვედა საფარის ხანძრის 10 აქტიური კერაა. ყველა შემთხვევაში ცეცხლი უკიდია ეკალ-ბარდს, ბალახს და ფოთლებს. შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური სპეციალურ განცხადებას ავრცელებს.

სააგენტოს ცნობით, **სომხეთ-საქართველოს საზღვარზე,** სოფელ ირგანჩაისთან გუშინ მთელი ღამის განმავლობაში უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა ხანძრის ქრობის სამუშაოები. პროცესში ჩართულია 80-მდე მეხანძრე-მაშველი. ხანძარი ლოკალიზებულია.

ქვემო-ქართლი — უკანგორში ცეცხლი უკიდია ტყის ქვედა საფარს. ადგილზე მობილიზებულია 150-მდე მეხანძრე-მაშველი. მიმდინარეობს ხანძრის ქრობის სამუშაოები.

მარნეული — სოფელი ახკერპი. იწვის ტყის ქვედა საფარი. ადგილზე უწყვეტ რეჟიმში მუშაობენ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლები.

თიანეთი — სოფელი ჩაბანო. ტყის ქვედა საფარის ხანძარი ლოკალიზებულია. მიმდინარეობს სალიკვიდაციო სამუშაოები.

დუშეთი — სოფელ ახალ ტონჩასთან ხანძარი ლოკალიზებულია. მიმდინარეობს სალიკვიდაციო სამუშაოები. ადგილზე მუშაობდა 15 მეხანძრე-მაშველი.

წალენჯიხა — სოფელ მუჟავასთან, აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე იწვის ბალახი. მონიტორინგის მიზნით ადგილზე რჩებიან საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლები.

მარტვილი — სოფელი ბალდა. ტყის ქვედა საფარის ხანძრის ქრობის პროცესში ჩართულია 50 მეხანძრე-მაშველისგან შემდგარი ჯგუფი. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლები ადგილზე მთელი ღამის განმავლობაში იმყოფებოდნენ.

ვანი — სოფელი ძულუხი. გუშინ დილიდან ადგილზე მუშაობა განაახლა 40-მდე მეხანძრე-მაშველმა. სიტუაცია კონტროლს ექვემდებარება.

ცაგერი — სოფელ საირმესთან, ცეცხლი ტყის ქვედა საფარს უკიდია. საირმესთან მუშაობს 60 მეხანძრე-მაშველი. მიმდინარეობს ხანძრის ქრობის სამუშაოები.

ლანჩხუთი — სოფელ მამათთან, გაჩენილი ხანძარს 100-მდე მეხანძრე-მაშველი ებრძვის. ცეცხლი ტყის ქვედა საფარს უკიდია.

ხანძრის ყველა აქტიურ კერასთან სიტუაცია კონტროლს სრულად ექვემდებარება. ცეცხლის დასახლებულ ტერიტორიაზე გავრცელების საფრთხე არ არსებობს.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური მწყემსებს და მონადირეებს მაქსიმალური ყურადღებისკენ მოუწოდებს, რადგან დაუდევრობამ შესაძლებელია, ბუნებას დიდი ზიანი მიაყენოს.

„ცხელი ზაფხულის შემდეგ, საქართველოში შემოდგომა და დეკემბერიც მშრალი ამინდებით გამოირჩევა. შედეგად, ტყის ქვედა საფარი გამომშრალია, რაც ცეცხლის სწრაფად გავრცელებას იწვევს.

მსგავს შემთხვევებში, სალიკვიდაციო სამუშაოებს რთული რელიეფი აძნელებს. კერებამდე ვერ ხერხდება სახანძრო ტექნიკის მისვლა. ამიტომ, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური მოგიწოდებთ მაქსიმალური სიფრთხილისკენ“, — აცხადებენ უწყებაში.

გილოცავთ!

პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები — რევაზ თევზაძე, დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ქობულია, ივიკო საყვარელიძე, მერაბ მახარაძე, გურამ ახრახაძე, როლანდ იოსელიანი, ჯუმბერ გონაშვილი, რევაზ არველაძე, გია მახარაძე, ომარ ცაავა, გია რამიშვილი, ვალერი ვარდოსანიძე და თამაზ გოგინაშვილი ღრმა პატივისცემითა და სიყვარულით ულოცავენ დაბადების დღეს ა.წ. 25 დეკემბერს ამავე საზოგადოების წევრს, ჩვენი ქვეყნის ცნობილ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს პარლამენტის ორგზის ყოფილ დეპუტატს, აგროპროდუქტების ხარისხის კონტროლის საკავშირო ინსპექციისა და „საქკონსერვტრესტის“ ყოფილ თავკაცს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, დიდებულ მამულიშვილსა და უკეთილშობილეს პიროვნებას, ბატონ

თამაზ ყაჭეიშვილს.

სანტას ტრადიციული მიმართვა

რამდენიმე დღეში მსოფლიოს მოსახლეობის ნაწილი შობას იზეიმებს. ფინეთში, ლაპლანდიიდან სანტამ ტრადიციული მიმართვა გაავრცელა.

დრო საუკეთესო საჩუქარია, — ასეთია წელს სანტას საშობაო გზავნილი. მან ასევე მსოფლიოს მოსახლეობას მოუწოდა, არ გამოიყენონ სიძულვილის ენა ერთმანეთთან საუბრისას.

„კიდევ ერთხელ ჩაიარა მორიგმა წელმა და შობის დრო დადგა. ვიმედოვნებ, რომ შენი წელი ძალიან კარგი იყო. ამ წელმა დამაფიქრა ერთ რამეზე, კერძოდ კი იმაზე, თუ როგორ ესაუბრებიან ადამიანები ერთმანეთს. მე ვიქნებოდი ძალიან ბედნიერი, თუ ადამიანები კეთილი და მეგობრული სიტყვების გამოყენებას შეძლებდნენ. კარგია, იფიქრო სხვა ადამიანების ფიქრებსა და გრძნობებზე. ხშირად მეკითხებიან, რა არის საუკეთესო საჩუქარი? ვფიქრობ, საუკეთესო საჩუქარი დროა, რომელიც შენ შეგიძლია, დაუთმო სხვას. დრო, რომელსაც ატარებ ოჯახთან, შვილებთან, მეგობრებთან. ასე რომ, გთხოვთ, დაუთმეთ დრო ერთმანეთს. იმედი მაქვს, შესანიშნავი შობა გექნებათ. ბედნიერ შობა-ახალ წელს გისურვებთ“, — ამბობს სანტა.

წელიწადის ამ დროს სანტას სოფელი ლაპლანდიაში განსაკუთრებით ხალხმრავალია. სანტას ერთ-ერთი ელფის ცნობით, ყოველდღიურად სანტა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ბავშვებისგან 32 ათასამდე წერილს იღებს.

საშობაო ხე პლასტმასის ბოთლებისგან

ლიბანის ქალაქ ჩეკაში პლასტმასის ბოთლებისგან შექმნილი 28 მეტრის სიმაღლის საშობაო ხე დადგეს.

კონსტრუქციის ასაწყობად 129 ათასი პლასტმასის ბოთლი დაიხარჯა.

იდეის ინიციატორი ადგილობრივი მცხოვრები კაროლაინ შაბთინი იყო, რომელსაც ადგილობრივი მოხალისეები და არასამთავრობო ორგანიზაციები დაეხმარნენ. ისინი მთელი წლის განმავლობაში აგროვებდნენ ბოთლებს. ნაძვის ხის ასაწყობად კი 20 დღე დასჭირდათ.

საშობაო სეზონის დასრულების შემდეგ ბოთლებს პლასტმასის გადამმუშავებელ ქარხანაში ჩააბარებენ. იდეის ავტორის აზრით, ეს ერთგვარი ეკოლოგიური გზავნილია, თუ რამდენად მნიშვნელოვანია გამოყენებული პლასტმასის გადამუშავება გარემოს დასაცავად.

ლიბანის პლასტმასის ბოთლებისგან შემდგარ ნაძვის ხეს გინესის რეკორდების წიგნში მოხვედრის შანსი აქვს.

ქეთევან ქარდავას ფოტო ათწლეულის 100 ფოტოს შორის მოხვდა

ტელეკომპანია CNN-მა ბოლო ათწლეულის განმსაზღვრელი 100 საუკეთესო ფოტო შეარჩია. ამ ფოტოებს შორის ტელეკომპანია „იმედის“ ბრიუსელის ბიუროს კორესპონდენტის ქეთევან ქარდავას ფოტოც მოხვდა, რომელიც მან 2016 წლის 22 მარტს ბრიუსელის აეროპორტში მომხდარი ტერაქტისას გადაიღო.

ამ თავდასხმაზე, რომელსაც 35 ადამიანი ემსხვერპლა და 340 დაშავდა, პასუხისმგელობა ტერორისტულმა დაჯგუფება „ისლამურმა სახელმწიფომ“ აიღო.

100 საუკეთესო ფოტოს შორისა აგრეთვე ჰაიტიზე მიწისძვრის, აშშ-ის სკოლებში სროლის, არაბული გაზაფხულის, 5 წლის სირიელი ლტოლვილი ბიჭის ალან ქურდის, თურქეთში რუსეთის ელჩის მკვლელის, ტრამპის ინაუგურაციის, ოსკარის დაჯილდოების, სტიქიებისა და სპორტული ღონისძიებების ამსახველი კადრები.

ძველი ციხე-დარბაზი 55 დოლარად იყიდება

საფრანგეთში მე-13 საუკუნის ციხე-დარბაზ შატო დე ვიბრაკს 55 დოლარად ყიდიან.

მყიდველთა რაოდენობა შეზღუდული არ არის. თითოეული მათგანი ციხე-დარბაზში ნებისმიერ დროს თავისუფლად შესვლას შეძლებს, ბაღში კი მისი სახელობის ნაკვეთი იქნება. პროექტს საფრანგეთის მემკვიდრეობის შენარჩუნების ფონდი და არაკომერციული სარესტავრაციო ასოციაცია Adopte un chateau ახორციელებენ. ინიციატივის მიზანი დანგრეული და მიტოვებული ციხე-დარბაზების აღდგენაა.

ამ ეტაპზე ციხე-დარბაზს უკვე 1700 მფლობელი ჰყავს 45 ქვეყნიდან. ორგანიზატორები ვარაუდობენ, რომ ძეგლის აღსადგენად 1 240 000 ევროს შეაგროვებენ.

შატო დე ვიბრაკი უკვე მესამე ციხე-დარბაზია, რომელზეც ორგანიზაციები მუშაობენ.

მადონა თავისი შეყვარებულის მშობლებზე უფროსია

ცნობილი მომღერლის მადონას შეყვარებულის აჰლამალიკ უილიამსის მშობლები წყვილის რომანს ეხმიანებიან.

როგორც ცნობილი გახდა, 61 წლის მადონა 25 წლის მოცეკვავეს უკვე 1 წელია ხვდება, უილიამსმა კი ის თავის მშობლებს გააცნო.

ბიჭის დედის თქმით, მათი სიყვარული შესაძლოა, ქორწინებამდეც მივიდეს, მამა კი ამბობს, რომ მადონამ მშობლებს პირობა მისცა, რომ მათ შვილზე იზრუნებს. ამასთან, ცნობილი გახდა, რომ მომღერალი თავისი ბოიფრენდის დედ-მამაზე უფროსია.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ყურადღება!

„საქართველოს რესპუბლიკის“ გამოსაწერად მიმართეთ:
„ელვა.ჯი“
577 991651
577 308847
შპს „მაცნე“
599 982777
„პლანეტა ფორტე“
579 799908

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.8760; ევრო - 3.1889;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.7348;
100 რუბლი - 4.6169; თურქული ლირა - 0.4841;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6853;
1000 სომხური დრამი - 6.0104.

ამინდი 25 დეკემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-2,	დღე	+15
მთიანი რაიონები -	ღამე	-3,	დღე	+15
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+10,	დღე	+23
მთიანი რაიონები -	ღამე	-1,	დღე	+18
თბილისი:	ღამე	0,	დღე	+14

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge